

978

საქართველო
საბჭოთავო



საქართველოს სსრ მთავრობის დარგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1978 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

საქტემბერი—ოქტომბერი

1978 წ.

შ ი ნ ბ ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

65. აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფის შესახებ.
66. ძეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
67. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების მოწყობის წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

68. რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით საწარმოთა და ორგანიზაციათა მისასვლელ ლინდაგებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

საქართველოს სსრ
საქტემბერი—ოქტომბერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

69. გაზით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ.
70. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.
71. საქართველოს სსრ საკულმურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ.
72. სახალხო დებუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების შექმნისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
73. კულმურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო სავანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრებიდან გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ.
74. სახელმწიფო დროშის აღმართვის მოწესრიგების შესახებ.
75. სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების მუშაობის პრაქტიკისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
76. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო- ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

65 აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციუ- ლი ფორმების უმადგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ოქტომბრის № 550 დადგენილებების შესაბამისად აბაშის რაიონში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების შექმნამ, რომელიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანოა, თავისი დადებითი როლი შეასრულა, ხელი შეუწყო უწყებრივი ბარიერების დაძლევის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებას, მიწათმოქმედების კულტურის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

რაიონში დარგის მართვის ახალი ფორმის მეოხებით მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონე, გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გაუმჯობესდა მათი ხარისხი და შემცირდა თვითღირებულება. 1977 წელს, 1974 წელთან შედარებით, სიმინდის მოსავლიანობა 42 პროცენტით გაიზარდა, ბოსტნეული კულტურებისა — 2,9-ჯერ, ჩაის მწვანე ფოთლისა — 61 პროცენტით, წველაღობა 26 პროცენტით გადიდდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება — 58 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი — 69 პროცენტით. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე პროდუქციის წარმოება 44 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში — 30 პროცენტით, ძირითადი საშუალებების ფონდუკუება — 22 პროცენტით.

აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების მუშაობა სოფლის მეურნეობის კომპლექსური ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს კვ აბაშის რაიონის, აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და გარდაიქმნას აბაშის რაიონის სახალხო

დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანება აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებად სამეურნეო ანგარიშზე.

3. დამტკიცდეს აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულება.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 22 ოქტომბრის № 741 დადგენილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული დებულება აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების შესახებ.

5. დაწესდეს, რომ:

— აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე არის აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

— აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შედიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტისა და სხვა უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობენ;

— აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სხვა უწყებათა მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები ორმაგი დაქვემდებარებისა არიან და მათი მართვა შესაბამისი ზემდგომი ორგანოების მიერ ხორციელდება გაერთიანების მეშვეობით.

6. აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების აპარატის შენახვის ხარჯები გაღებულ იქნეს გაერთიანების მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხებიდან და მუშაკთა შრომა ანაზღაურდეს სსრ კავშირის დირექციული ორგანოების დადგენილების შესაბამისად; აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების აპარატის მუშაკთა პრემირება განხორციელდეს „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 16 თებერვლის № 54/34-5 დადგენილების თანახმად.

7. ნება დაერთოს აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას შექმნას წარმოების განვითარებისა და განმტკიცების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, მატერიალური წახალისების, ურთიერთდახმარების და სხვა ცენტრალიზებული ფონდები რწმუნებულთა

საბჭოს კრების მიერ დაწესებული ოდენობით და გამოიყენოს ისინი დეპუტატების თანახმად.

გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შეაქვთ თავიანთი საერთო მოგებიდან (წმინდა შემოსავლიდან) შესატანები რწმუნებულთა საბჭოს კრების მიერ დაწესებული ოდენობით, მაგრამ საერთო მოგების (წმინდა შემოსავლის) არა უმეტეს 20 პროცენტისა.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანების აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებად გარდაქმნისას განთავისუფლებული 17 საშტატო ერთეული და 36 ათასი მანეთის საბიუჯეტო ასიგნებანი გამოიყენოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა აპარატების განსამტკიცებლად.

9. საქართველოს კპ აბაშის რაიონულმა კომიტეტმა და აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ინფორმაციები ამ დადგენილების შესრულებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოველი წლის 10 იანვარს და 10 ივლისს.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. კატარიძე.

ქ. თბილისი, 1978 წ. 30 ოქტომბერი, № 652

დ ა მ ტ კ ი ც ი ა ლ ი ა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება შექმნილია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილების საფუძველზე.

გაერთიანების შემადგენლობაში შედიან აბაშის რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოები, რომლებიც აღნიშნულ რაიონში მდებარეობენ (შემდგომ „მონაწილე მეურნეობებად, საწარმოებად და ორგანიზაციებად“ წოდებულნი).

2. გაერთიანება მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ასრულებს სამეურნეო-სამმართველო ფუნქციებს.

3. მონაწილე მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, თურიდიული პირის უფლებას და ახორციელებენ საქმიანობას თავიანთ წესდებათა და დებულებათა საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი აბაშის რაიონში მდებარე თავიანთ საწარმოებს ხელმძღვანელობას უწყვეტ აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მეშვეობით.

5. გაერთიანების მთავარი ამოცანებია:

— მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების საფუძველზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

— შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და რენტაბელობის ამაღლება წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის და რეზერვების გამოვლენის საფუძველზე;

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების, აგრეთვე გაერთიანების სხვა მონაწილეთა მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

— მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მიწების რაციონალური გამოყენება;

— რაიონის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე მეურნეობებში წარმოების პირობების შეთანასწორება;

— მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დაგეგმვა;

— მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა წარმოებაში;

— კაპიტალურ დაზანებათა რაციონალური გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და სრულად გამოყენების უზრუნველყოფა;

— დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მონაწილე მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა; მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალური განვითარება;

— მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, შრომის უფრო ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობების შექმნა.

6. გაერთიანება ექვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

7. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც გაერთიანებას შეეხება, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროთა და უწყებათა ბრძანებებითა და მითითებებით და ამ დებულებით. გაერთიანებას აქვს ბეჭედი, არის იურიდიული პირი, ხსნის ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

II. შექმნის წესი

8. გაერთიანება შეიქმნება გაერთიანებაში მონაწილეობის მსურველი მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა დამფუძნებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება გაერთიანების შექმნის შესახებ დამტკიცდება დადგენილი წესით.

გადაწყვეტილებას გაერთიანებაში კოლმეურნეობის მონაწილეობის შესახებ დამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება).

კრება აირჩევს აგრეთვე რწმუნებულ წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დამფუძნებელ საბჭოში გადაწყვეტი ხმის უფლებით და უფლებამოსილი იქნებიან ხელი მოაწერონ გადაწყვეტილებას გაერთიანების შექმნის შესახებ. სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გადაწყვეტილება გაერთიანებაში მონაწილეობის შესახებ მიიღება მათი წესდების (დებულების) შესაბამისად.

საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო საწარმოები და დაწესებულებები აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში შევლენ ზემდგომი ორგანოების ნებართვით. რწმუნებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტი ხმის უფლებით დანიშნავს ბრძანებით საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ან სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

9. ახალი მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები გაერთიანებაში მიიღებიან მათი ვანცხადებების საფუძველზე და გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით.

10. გაერთიანების შემადგენლობიდან ცალკეულ მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გასვლის საკითხს გადაწყვეტს გაერთიანების საბჭო, კოლმეურნეობების მიმართ — საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სხვა კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ — მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოების და ორგანიზაციების მიმართ — მათი თხოვნის საფუძველზე ზემდგომი ორგანოების ნებართვით. მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები გაერთიანებიდან გასვლის შესახებ გაერთიანების საბჭოს შეატყობინებენ გავლამდე 6 თვით ადრე მაინც.

11. მონაწილე მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

III. მართვის ორგანოები

12. გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანოა მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულთა საბჭო, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით თანაბარი რაოდენობით.

13. გაერთიანების საბჭო:

— ამ დებულების საფუძველზე შემუშავებს და დამტკიცებს გაერთიანების წესდებას, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში შეიტანს ცვლილებებსა და დამატებებს მასში, რაც შემდგომ რეგისტრირებული იქნება აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

— განსაზღვრავს გაერთიანების საბჭოსა და სარევიზიო კომისიის რაოდენობრივ შემადგენლობას; აირჩევს გაერთიანების საბჭოს გამგეობას, თავმჯდომარეს, მის მოადგილეს; გამგეობის შემადგენლობაში აირჩევს აგრეთვე

მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები და წარმოების მოწინავენი, მაგრამ არა უმეტეს 9-11 კაცისა (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის აბაშის საწარმოო გაერთიანების მმართველი და აბაშის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი აირჩევიან გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეებად);

— განიხილავს გაერთიანებაში წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების, აგრეთვე სპეციალიზებულ და მომსახურე საწარმოთა შექმნის საკითხებს;

— დაამტკიცებს საწარმო-საფინანსო საქმიანობისა და სოციალური განვითარების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, აგრეთვე მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმებს;

— გაერთიანებისათვის დამტკიცებული მაჩვენებლების საფუძველზე დაუწესებს მონაწილე მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საგეგმო დავალებებს;

— განსაზღვრავს თითოეული მონაწილის შესატანების ოდენობას;

— დაამტკიცებს გაერთიანების შენახვის ხარჯთაღრიცხვას, ანარიცხების ოდენობას და მათი შეტანის წესს;

— განიხილავს მთლიანად გაერთიანების საწარმო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს და, საჭიროების კვალობაზე, მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებს;

— მოისმენს წლიურ ანგარიშებს საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ და დაამტკიცებს რევიზიათა აქტებს;

— ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით დაამტკიცებს გაერთიანების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებსა და მაჩვენებლებს;

— დაამტკიცებს ვაცვეთილი და შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების გაერთიანების ბალანსიდან ჩამოწერის აქტებს, როცა მისი აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია;

— მიიღებს გადაწყვეტილებას საოლქო და რესპუბლიკურ გაერთიანებებში გაერთიანების მონაწილეობის შესახებ; განიხილავს და დაამტკიცებს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს.

საბჭო განიხილავს და გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

14. გაერთიანების საბჭოს კრება გაიმართება სამუშაო გეგმის შესაბამისად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე კრება — გაერთიანების საბჭოს ან სარევიზიო კომისიის არჩეულ წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

საბჭოს კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

15. გაერთიანების გამგეობა:

— განიხილავს საწარმოო-საფინანსო გეგმების, ადმინისტრაციულ-სამ-მართველო ხარჯთაღრიცხვების, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებისა და პერს-პექტიული გეგმების პროექტებს, აგრეთვე გაერთიანების სოციალური განვითა-რების გეგმების პროექტებს და შეიტანს შესაბამის წინადადებებს გაერთიანების საბჭოს დასამტკიცებლად;

— დაამტკიცებს შრომის შინაგანაწესს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი წესების მიხედვით;

— დაამტკიცებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების გეგ-მებს;

— მოისმენს და განიხილავს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს საგეგმო დავალებათა და გაერ-თიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ;

— წარუდგენს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს წინადადებებს კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა კოოპერა-ციული ორგანიზაციების იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლე-ბიც არ შეესაბამებიათ კანონმდებლობას, წესდებასა და დებულებას;

— განიხილავს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასთან და შესრულე-ბასთან, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფასთან და მონაწილე მეურნეო-ბების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— დაამტკიცებს აქტებს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ვალის ჩამოწერის შესახებ, რომლის მიღება უიმედოდაა ცნობილი, და შეატყობინებს ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს;

— პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად მოაწიებს სოცია-ლისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას; გადაწყვეტს გაერთიანების მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური და მორალური წახალისების საკითხებს;

— განიხილავს და გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერ-თიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

16. გაერთიანების გამგეობის სხდომები გაიმართება საჭიროების კვალო-ბაზე, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

17. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა სამი მეოთხედი მაინც. გადაწყვეტილებანი მიიღე-ბა ხმის უბრალო უმრავლესობით.

18. საბჭოს თავმჯდომარე — იგივე გამგეობისა და გაერთიანების თავ-მჯდომარე:

— არის აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

— განახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაერთიანების საქ-მიანობისადმი; უზრუნველყოფს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებების გადაწყვეტილება-

თა შესრულებას და პერსონალურად აგებს პასუხს გაერთიანების მდგომარეობისა და საქმიანობისათვის;

— რწმუნების გარეშე იმოქმედებს გაერთიანების სახელით, წარმოდგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანების ქონებასა და სახსრებს, დადებს ხელშეკრულებებს, გასცემს რწმუნებებს, გახსნის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

— გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, გაანაწილებს მოვალეობებს მთავარ და სხვა სპეციალისტთა შორის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოდ მიიღებს და სამუშაოდან დაითხოვს მუშაკებს; გამოიყენებს წახალისების ზომებს და დაადებს სასჯელს; უზრუნველყოფს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას; გადაწყვეტს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

19. გაერთიანების საწარმოო საქმიანობაში მუშაკთა ფართოდ ჩაბმისათვის დადგენილი წესით მოქმედებენ საწარმოო თათბირები, იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, აგრეთვე ამხანაგური სასამართლო.

IV. ქონება და სახსრები

20. გაერთიანების სახსრები შეიქმნება მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შესატანებისა და მისი საქვეუწყებო საწარმოების შემოსავლის ანარიცხებისაგან.

21. შესატანების ოდენობას განსაზღვრავს გაერთიანების საბჭო.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა ორგანიზაციების შესატანების ოდენობა განისაზღვრება მათ განკარგულებაში არსებული დასამუშავებელი მიწების რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით, და შეიტანება მოგების (წმინდა შემოსავლის) ანარიცხებიდან. სხვა მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შესატანები განისაზღვრება მოგების (წმინდა შემოსავლის) ოდენობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა.

გაერთიანების სახსრები შეიძლება შეიქმნას მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების მთლიანად ან ნაწილობრივ ცენტრალიზაციის გზით.

22. მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შესატანებისაგან გაერთიანებაში შეიქმნება შემდეგი ფონდები:

- ა) წარმოების განვითარებისა და განმტკიცებისა;
- ბ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობისა;
- გ) მატერიალური წახალისებისა;
- დ) ურთიერთდახმარებისა.

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება შეიქმნას სხვა ფონდებიც.

23. წარმოების განვითარებისა და განმტკიცების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება როგორც კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების, წარმოების,



სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებების განხორციელების წყარო, აგრეთვე წარმოების განვითარებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად.

24. გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისათვის, მათი აღდგენისა და ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო სახსრები.

ცენტრალიზებული სამორტიზაციო ანარიცხები შეიძლება დაიხარჯოს აგრეთვე ძირითადი ფონდების გასახლებლად, იმ კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ახალი მოწყობლობის, დეტალებისა და კვანძების შესაძენად, რომლებსაც არ ჰყოფნით სამისოდ საკუთარი სახსრები, ხოლო დანარჩენი ნაწილი შედის წარმოების განვითარებისა და განმტკიცების ცენტრალიზებულ ფონდში.

25. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი გათვალისწინებულია გაერთიანების საბინაო ფონდის გაფართოებისა და რემონტისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ფიზიკური კულტურის განვითარების ღონისძიებებისათვის.

26. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება მმართველობის აპარატისა და მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებისათვის, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებისათვის, საეგემო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის ჯილდოს გასაცემად.

27. ურთიერთდახმარების ცენტრალიზებული ფონდი წარმოების ეკონომიკური პირობების შეთანასწორების წყაროა და გამოიყენება მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, აგრეთვე დაუგეგმავი დანახარჯების ასანაზღაურებლად, სტიქიური უბედურებითა და წარმოების არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული დანახარჯებისა და ზარალის დასაფარავად.

დახმარების გაწევა შეიძლება უსასყიდლოდ ან დასაბრუნებელი სესხების მიცემით.

28. გაერთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა საწარმოო-საფინანსო გეგმით განისაზღვრება და ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებას არ საჭიროებს.

ზემდგომ ორგანოებს არ შეუძლიათ ჩამოართვან მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შესატანების ხარჯზე შექმნილი გაერთიანების ფონდები და საბრუნავი სახსრები.

29. გაერთიანებას შეუძლია ისარგებლოს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის სახელმწიფო კრედიტით (გრძელვადიანით და მოკლევადიანით) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დაწესებული პირობებით.

მოთხოვნილება კრედიტზე განისაზღვრება საწარმოო-საფინანსო გეგმით დასახული ყველა ღონისძიების გათვალისწინებით.

V. საწარმო-საფინანსო საქმიანობა

30. დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და რაიონის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებისათვის გაერთიანება:

— განახორციელებს თავის საქმიანობას სამეურნეო ანგარიშზე;

— შექმნის მმართველობის აპარატს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის თანახმად, მმართველობის აპარატის ზარჯები გაიღება მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანაზღაურებიდან;

— უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმათა და ვალდებულებათა შესრულებას მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

— უზრუნველყოფს ყველა მონაწილე მეურნეობის, საწარმოსა და ორგანიზაციის ეკონომიკური ინტერესთა ერთობას და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას;

— დაამყარებს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეობათაშორის კავშირურთიერთობას;

— ოპერატიულად გადაწყვეტს გაერთიანების მონაწილეთა მიერ სახელმწიფო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას და განახორციელებს გარემოს (ადგილმდებარეობის, ნიადაგის, წყალსატევების, ატმოსფერული ჰაერის) გაქუქვიანებისაგან დაცვისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას, გამოყოფს ამ მიზნით საჭირო სახსრებს დაწესებული ნორმების მიხედვით;

— დაუწესებს მონაწილე მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საგეგმო დავალებებს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დადგენილია დაფუძნებისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისათვის.

კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორის ორგანიზაციებისათვის საგეგმო მაჩვენებლები განისაზღვრება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დავალებით, ხოლო სამრეწველო წარმოებისათვის — შესაბამისი ასორტიმენტის გამოშვებული პროდუქციის მოცულობით, ამასთან აღინიშნება ამ პროდუქციის მიმღენი და მიწოდების ვადები;

— განახორციელებს ხელმძღვანელობას სხვა უწყებათა საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი მათგან მიღებული საგეგმო დავალებებისა და დაფინანსების გათვალისწინებით;

— შეიმუშავებს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პერსპექტიულ და წლიურ საწარმო-საფინანსო გეგმებს და სოციალური განვითარების გეგმებს;



— დამტკიცებს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო გეგმებს;

— ორგანიზაციას გაუწევს და უზრუნველყოფს რაიონის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და მის მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებას ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მომარაგებისა და გასაღების სისტემის გათვალისწინებით;

— განსაზღვრავს მის შემადგენლობაში შემავალ მონაწილე მეურნეობებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე და დადგენილი წესის თანახმად წარადგენს განაცხადებს აღნიშნული რესურსების გამოსაყოფად შესაბამის ორგანოებში;

— გაანაწილებს გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და ფონდებს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, განახორციელებს კონტროლს ფონდების გამოყოფისადმი;

— მიიღებს ზომებს მონაწილე მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოწყობილობის დროულად დადგმისა და ამოქმედებისათვის, არ დაუშვებს მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნას, გაასაღებს დადგენილი წესით გაერთიანებაში არსებულ ზედმეტ და გამოუყენებელ მატერიალურ რესურსებს;

— ორგანიზაციას გაუწევს ახალი ძირითადი ფონდების მშენებლობას, მოქმედის რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და ტექნიკურ კვლავაღჭურვას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, სახსრების კონცენტრაციას ასამუშავებელ მშენებლობებზე, მშენებარე ობიექტების დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ყველა პირობის დაცვას; მიიღებს ზომებს მშენებლობის ვადების დასაცავად, ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების შესამცირებლად;

— ორგანიზაციას გაუწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებას, ამ დოკუმენტაციისა და სატიტულო სიების დამტკიცებას;

— დაუდებს დადგენილი წესით სამშენებლო და სხვა სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად;

— დამტკიცებს საიჯარო ორგანიზაციებთან ერთად იმ სამუშაოთა ფასდებებს, რომელთა საჭიროება წარმოიშობა მშენებლობის მსვლელობაში, თუ ამ სამუშაოთა ფასდებანი დამტკიცებული არ არის დადგენილი წესით;

— კომპეტენციის ფარგლებში დანიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს იმ დამთავრებულ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მისაღებად, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 1,5 მილიონ მანეთს.



დახურავს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებს მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ;

— უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს როგორც სამეურნეო, ისევე საიჯარო წესით;

— გადასცემს საიჯარო ორგანიზაციებს მათი თანხმობით, პირდაპირი ხელშეკრულებებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად შესაბამის შრომის ღირებულებას, ფონდებსა და მასალებს, რის შესახებაც შემდგომ შეატყობინებს შემდგომ ორგანოს;

— შეარჩევს და გაანაწილებს კადრებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს მეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, განსაზღვრავს პერსპექტიულ მოთხოვნილებას კადრებზე;

— განახორციელებს ამ მიზნით გამოყოფილი ფინანსური სახსრების ფარგლებში სპეციალისტთა კვალიფიციურ მომზადებასა და გადამზადებას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროფესიების შესაძლო შეთავსების გათვალისწინებით;

— კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების განხორციელებას და მატერიალური სტიმულირების ფონდების გამოყენებას;

— უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას;

— ორგანიზაციას გაუწევს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის, სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარების, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და ამ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის საქმეში;

— განახორციელებს, საწარმოო აუცილებლობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის კვალობაზე, მუშახელის ღრობებით გადანაწილებას გაერთიანების შიგნით;

— არსებული წესის შესაბამისად გადაანაწილებს საბრუნავ სახსრებს, სამორტიზაციო ფონდებსა და სხვა საშუალებებს მონაწილე მეურნეობათა, სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის;

— წარუდგენს შესაბამის ორგანოებს დაწესებულ ვადებში გაერთიანების კრებისთი ანგარიშებს და საწარმო-საფინანსო საქმიანობის ბალანსებს;

— დიფერენცირებულად განსაზღვრავს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-საანგარიშსწორებო ურთიერთობას იმ

პროლუქციისათვის, რომელსაც ერთი საწარმო გადასცემს მეორეს დამატებით დასამუშაველად (დასასრულებლად), აგრეთვე იმ სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, რომელთაც ერთი საწარმო უსრულებს და უწევს მეორეს;

— ჩამოართმევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანების შემადგენლობაში შედიან, ზემდგომ, ზენორმატიულ საბრუნავ სახსრებს და გადაუნაწილებს მათ იმ საწარმოებს, რომელთაც აკლიათ აღნიშნული სახსრები, ხოლო სხვაობას გადაურიცხავს სამინისტროს საბრუნავი სახსრების გადანაწილების ანგარიშებზე, მისცემს სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებს დაეალებებს, რათა უდავოდ ჩამოიწეროს ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებიდან საფინანსო გეგმის მიხედვით გადანაწილების წესით ჩამოსართმევი სახსრები, წლიური ანგარიშების მიხედვით ჰარბი საკუთარი საბრუნავი სახსრები, აგრეთვე ის სახსრები, რომლებიც მათ ცენტრალიზებული ფონდებიდან მიიღეს დაბრუნების პირობით და დროულად არ დაუბრუნებიათ;

— წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოს განაცხადებს გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტებზე; დაიტოვებს თავის განკარგულებაში კრედიტების თანხის რეზერვს საკრედიტო გეგმებით დაწესებული ოდენობით, აგრეთვე მისცემს ბანკების დაწესებულებებს გარანტიებს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საკრედიტო ვალდებულებათა გამო.

31. ჩამოსწერს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსიდან მორალურად მოძველებულ, გაცვეთილ და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარ მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარსა და ინსტრუმენტებს, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

VI. აღრიცხვა, ანგარიშგება და საწარმოო-საფინანსო საქმიანობის რევიზია

32. გაერთიანება დადგენილი წესით აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და შეადგენს ანგარიშგებას; წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს დაწესებულ ვადებში კრებისით ანგარიშებსა და ბალანსებს მონაწილე მეურნეობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით; ორგანიზაციის გაუწევს და გააკონტროლებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მათ მიერ ანგარიშგების შედგენასა და დროულად წარდგენას შესაბამის ორგანოებში დამტკიცებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით და უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშგების უტყუარობას; განიხილავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და სხვა კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს და დაამტკიცებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; განახორციელებს სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს.

33. გაერთიანების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ჩაატარებს სარევიზიო კომისია წელწადში ერთხელ. თავისი მუშაობის შესახებ სარევიზიო კომისია ანგარიშს ჩააბარებს გაერთიანების საბჭოს.

34. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს გაერთიანების თანამდებობის პირებს წარუდგინონ საჭირო დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი. რევიზიის შედეგების შესახებ სარევიზიო კომისია მოახსენებს გაერთიანების საბჭოს, აგრეთვე იმ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანებას.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები რევიზიის დროს განთავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან და შეუნარჩუნდებთ საშუალო გამომუშავება რევიზიის ჩასატარებლად დახარჯული დროისათვის.

35. გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შემოწმებას ჩაატარებენ ზემდგომი ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

VII. გაერთიანების რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა

36. გაერთიანების რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) მოხდება მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა საბჭოს გადაწყვეტილებით მას შემდეგ, რაც ამ საკითხს განიხილავენ აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს გადაწყვეტილება გაერთიანების შექმნის შესახებ.

გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტას (ლიკვიდაციას) განახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც აირჩევს მონაწილე მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა საბჭო და დაამტკიცებს აბაშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სსრ კავშირის სახბანკის კრედიტებისა და გაერთიანების სხვა დავალიანების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება და ფულადი სახსრები განაწილდება მონაწილეთა შორის არსებული კანონმდებლობის თანახმად.

66 მაცხოვრებლის ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების ლონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

2. დაევალოს საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეცხოველეობის მეურნეობების მქონე სამინისტროებსა და უწყებებს:

— გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ვეტერინარული სამსახურისადმი, გააძლიერონ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების, შფერისველეობის ფაბრიკებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელობა და სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მეურნეობათა ჯეროვანი ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობის, ინფექციური დაავადებების გამომწვევთა შემოტანისაგან მათი დაცვის, ცხოველთა დაავადებებისა და გაწყდომისაგან დანაკარგების შემცირების, სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული წესების დაცვის უზრუნველსაყოფად;

— განამტკიცონ ვეტერინარული სამსახური კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კვალიფიციური სპეციალისტებით, ამასთან შეუქმნან მათ ნორმალური საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობები; აღჭურვონ ვეტერინარული სამსახურის დაწესებულებანი საჭირო მოწყობილობით, აპარატურით, მედიკამენტებით, ბიოლოგიური პრეპარატებით, საღებზინფექციო და სატრანსპორტო საშუალებებით;

— უზრუნველყონ ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება, ვეტერინარული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვა მეცხოველეობის პრაქტიკაში, ვეტერინარიის კადრების პროფესიული მომზადების ამაღლება;

— მტკიცედ დაიცვან ტექნოლოგიური დაპროექტების ნორმები და ვეტერინარულ-სანიტარიული მოთხოვნები ახალი მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციის დროს;

— მიაღწიონ ვეტერინარული სამკურნალოების, ამბულატორიების, აფთხაპებისათვის საჭირო სადგომების, საღებზინფექციო საშუალებებისა და ბიო-

პრეპარატების შესანახი სადგომების მშენებლობას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეობის კომპლექსებში;

— არ დაუშვან იმ მეცხოველეობის ფერმების, კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებშიც დამთავრებული არაა საჭირო ვეტერინარულ-სანიტარიული ობიექტების მშენებლობა;

— უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის პირუტყვისაკლავი პუნქტებისა და სასაკლაო მოედნების, აგრეთვე ვეტერინარულ-სანიტარიული ობიექტების მშენებლობა ცხოველთა საკლავ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოებში.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჭითანავა):

— მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით განიხილოს თითოეულ რაიონში (ქალაქში) ვეტერინარულ დაწესებულებათა ტერიტორიული განლაგების საკითხი და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით 1978 წლის 1 დეკემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას (სადაც ეს საჭიროა) საუბნო ვეტსამკურნალოები, ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სადგურები და ვეტერინარული ლაბორატორიები ვეტერინარული უბნების გაუქმების ხარჯზე, აგრეთვე შეიქმნას სახელმწიფო ვეტერინარული ქსელი რაიონებში სპეციალიზებული მეცხოველეობის მეურნეობების, ამ მეურნეობებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში პირუტყვის, ფრინველისა და სხვა ცხოველთა არსებობის და ვეტერინარიის სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით მათი უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

— შექმნას 1979 წელს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების რესპუბლიკური ლაბორატორია.

ახალი ვეტერინარული დაწესებულებანი შექმნას სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის ხელფასის ფონდის, აგრეთვე მისი შენახვის ასიგნებათა ფარგლებში;

— შექმნას ყოველწლიური საპრემიო ფონდი ცხოველთა პროდუქტიულობისა და ვეტერინარულ-სანიტარიული მომსახურების კულტურის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მეცხოველეობის კომპლექსების, ფერმების, მეფრინველეობის ფაბრიკების კოლექტივების პრემირების მიზნით.

შემიუშაოს დებულება მეცხოველეობის კომპლექსების, ფერმების, მეფრინველეობის ფაბრიკების კოლექტივების პრემირების შესახებ, დაამტკიცოს იგი და დაუგზავნოს ყველა მეცხოველეობის მეურნეობას; დაამზადოს დიალომები პრემირებულ მეურნეობათა დასაჯილდოებლად;

— სამი თვის ვადაში შექმნას რესპუბლიკური ვეტერინარული ლაბორატორიის კლუბის ბაზაზე (თბილისი-ვაშლიჯვარი) ვეტერინარიის მუშაკთა სახლი, ამასთან შემდგომ იგი გამოიყენოს მოწინავე გამოცდილების ფართოდ ჩვენებისა და ვეტერინარიის მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისათვის;

— ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სადგურის მუშაკთა რიცხოვნობის საერთო ლიმიტისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე შექმნას ვეტერინარული ლაბორატორია შესაბამისი განყოფილებებითურთ;

— გააძლიეროს სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი რესპუბლიკიდან ხელბარგის, ბაგაყისა და საფოსტო ვზავნილებათა, ზორცის, რძისა და თევზის პროდუქტების (კონსერვების გარდა) და მეცხოველეობის ნედლეულის ვატიანისადმი და საზღვარგარეთიდან მათი შემოტანისადმი;

— მოსაზღვრე ქვეყნებიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების შემოტანის დაუშვებლობის მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარ სამმართველოსთან და საკვების, მდელოებისა და საძოვრების მთავარ სამმართველოსთან, აგრეთვე დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს 1979 წლის 1 იანვრამდე დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასაზღვრო ზონაში ცხოველთა მოვლა-შენახვის ჯეროვან წესრიგს, საინჟინრო ნაგებობათა ზოლში საძოვარი სავარგულებების გამოყენებას და სახელმწიფო საზღვარზე ცხოველთა გადასვლის თავიდან აცილებას, და წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. დაევალოთ მარნეულის, გურჯაანის, აბაშის, სიღნაღის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, გორისა და სხვა რაიონების პარტრაიკომებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სადაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა ბრუცელოზითა და ტუბერკულოზით პირუტყვის დაავადების შემთხვევები, გააძლიერონ ბრძოლა ამ დაავადებათა წინააღმდეგ, იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველყონ აღნიშნული დაავადებების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობათა გაჯანსაღება და მათი გავრცელების დაუშვებლობა.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, გორის, კასპის, თელავის, საგარეჯოს, მცხეთის, თერჯოლის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გუდაუთის რაიონების, ქალაქების წყალტუბოსა და ვაგრის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პირობლაზმიდოზით დაავადების თავიდან აცილების მიზნით ავგონ ამ დაავადების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში 1979 წელს სასურებელი დანადგარები აზერბაიჯანის ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტის მიხედვით.

6. დაევალოს საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. აგლაძე) უზრუნველყოს ვეტერინარ ექიმთა მომზადების ხარისხის ამაღლება და ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერება, იმ ვარაუდით, რომ უახლოეს ხანში გადასცეს წარმოებას ცხოველთა და ფრინველთა დაავადებებთან ბრძოლის ახალი სრულყოფილი საშუალებანი.

8. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ (ამხ. ქანუყვადე) უზრუნველყო, მოყოლებული 1979 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფასციელეზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის შემუშავებული ჰექსაქლორპარაქსილოლიანი სამკურნალო პრემიქსის მასობრივი წარმოება კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში, აგრეთვე შეიმუშაოს წინადადებანი ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა ინფექციური და ინვაზიური დაავადების წინააღმდეგ სამკურნალო-პროფილაქტიკური კომბინირებული საკვების წარმოების შესახებ.

9. ვეტერინარიის კადრების მომზადების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემოღებულ იქნეს ვეტერინარული ინსტიტუტებისა და ვეტერინარული ფაკულტეტების კურსდამამთავრებელ და სპეციალობის მიხედვით მეცხოველეობის კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებსა და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში სამუშაოდ გასაგზავნ პირთათვის სტაჟირება შესაბამის სპეციალობაში 6 თვემდე ვადით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ვეტერინარულ ლაბორატორიებსა და სხვა ვეტერინარულ დაწესებულებებში.

დაწესდეს, რომ სტაჟირების დროისათვის აღნიშნულ პირებს ხელფასს იმ თანამდებობის შესაბამისად, რომელზეც ისინი არიან დანიშნული, მისცემენ ის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სადაც ეს პირები არიან გაგზავნილი მუდმივ სამუშაოზე.

10. გავრცელდეს ვეტერინარული უბნებისა და პუნქტების, საუბნო ვეტერინარული სამკურნალოების, ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის სადგურების (რაიონული ვეტერინარული სადგურების) პენსიაზე გადასულ ვეტერინარ ექიმებსა და ფერმლებზე და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებზე სსრ კავშირის სადირექტივო ორგანოებისა და დეგენილების იმ ნაწილის მოქმედება, რომ მათ შეუწარმუნდეთ უფლება ისარგებლონ უფასო ბინებით, გათბობითა და განათებით, თუ აღნიშნულ მუშაკთა სოფლად მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს არანაკლებ 10 წელს.

11. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენახვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია ხელმძღვანელ ვეტერინარ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების ფონდი ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის ფონდის 3 პროცენტამდე ოდენობით.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. სარიშვილი) უზრუნველყოს თავის სისტემაში სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მეცხოველეობის კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების



ავტოსადეზინფექციო მანქანებისა და დანადგარების რემონტი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ახალი წლის დაწყებამდე წარდგენილი განაცხადების მიხედვით, აგრეთვე მიიღოს ზომები აღნიშნული ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველსაყოფად.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს 1979-1985 წლების რესურსების განაწილების გეგმებსა და განაცხადებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის არახაზაზრო ფონდების ხარჯზე ეტილიანი მოტოციკლების გამოყოფა სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვეტერინარული სამსახურისათვის, ხოლო საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, მოყოლებული 1979 წლიდან, ყოველწლიურად გამოუყოს „საქსახსოფლტექნიკას“ მაქსიმალური რაოდენობის მოტოციკლები.

14. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მიიღონ საჭირო ზომები საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 დეკემბრის № 755 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 აგვისტოს № 487 დადგენილების უცილობლივ შესასრულებლად.

15. ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე და უკან ცხვრის გადაყვანა-გადმოყვანის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით ეთხოვოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გაითვალისწინოს 30 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის მშენებლობა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქ ორჯონიკიძის სადგურიდან სოფელ ჩიმბღე.

16. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომალუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“ და ყურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ რედაქციებმა უზრუნველყონ სისტემატური ინფორმაცია და მასალების პუბლიკაცია, წიგნებისა და ბროშურების გამოცემა ვეტერინარიის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების, ვეტერინარული სამსახურის მოწინავე კოლექტივებისა და სპეციალისტების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

17. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულმა სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარონ 1979 წლის პირველ კვარტალში ვეტერინარული სამსახურის მუშაკთა თათბირ-სემინარი.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა მეცხოველეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის, ვეტერინარული მომსახურების ძირეულ გაუმჯობესებას, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სპეციალისტი-ვეტერინარები უზრუნველყოფენ მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას და მეცხოველეობის მალალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების გადიდებას.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. კატარიძე.

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 ოქტომბერი, № 653.

67 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლო-გის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების მოწოდების წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაცვლელად სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსები, მოყოლებული 1979 წლიდან, მოეწყოს ორ წელიწადში ერთხელ.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. კატარიძე.

ქ. თბილისი, 1978 წ. 31 ოქტომბერი, № 686.

ლაგტიცხეულია
 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტე-
 ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
 საბჭოს 1978 წლის 31 ოქტომბრის
 № 686 დადგენილებით

ც ვ ლ ი ლ ე ზ ა ნ ი,

რომლებიც შეტანილია დებულებაში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების შესახებ

1. ამოღებულ იქნეს I განაყოფის პირველი აბზაციდან სიტყვა „ყოველწლიური“, ხოლო II განაყოფის პირველი აბზაციდან სიტყვა „ყოველწლიურად“.

2. დაემატოს III განაყოფს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კონკურსებში გამარჯვებული ავტორთა კოლექტივებისათვის პრემიების მიკუთვნებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი: თუ ავტორთა კოლექტივში ორი კაცია, პრემია მათ შორის გაიყოფა თანაბრად; თუ ავტორთა კოლექტივში სამი კაცია, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი გაიყოფა თანაბრად დანარჩენ ორს შორის; თუ ავტორთა კოლექტივში ოთხი კაცი და მეტია, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის მესამედი, ხოლო ორი მესამედი გაიყოფა თანაბრად დანარჩენ წევრთა შორის. იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივი ხელმძღვანელს არ ასახელებს, პრემია გაიყოფა თანაბრად კოლექტივის ყველა წევრს შორის“.

3. IV განაყოფის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პასუხისმგებლობა პრემირებულ ღონისძიებათა სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის დაეკისრებათ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც სისტემატურად აღრიცხავენ პრემირებულ წინადადებათა დანერგვით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტიანობას და გაუზიარებენ მასალებს ყოველი ნახევარი წლისა და ყოველი წლის მდგომარეობის გაანალიზებით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს განსაზოგადებლად და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად“.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რეს- პუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

68 რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით საწარმოთა და ორგანიზაციათა მისასვლელ ლიანდაგებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების და სარკინიგზო ტვირთბრუნვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების, „ოლქის სამრეწველო და რკინიგზის საწარმოებში სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების მოცდენის შემცირებისა და მათი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაიშალოს სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით საწარმოთა და ორგანიზაციათა მისასვლელ ლიანდაგებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების თანდართული პირობები.

3. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის ყველა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ:

— ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის რკინიგზის ვაგონების ზენორმატიული მოცდენის ლიკვიდაციის უზრუნველყოფისა და შემდგომი შემცირების, მათი დაცვა-შენახვისა და ხარისხიანი გაწმენდის

მიზნით; ტვირთშიდვით სახალხო მეურნეობის უფრო სრულად უზრუნველყოფისთვის;

— შეჯიბრების მონაწილეთა ღონისძიებანი მოახმარონ ვაგონების ტვირთამწეობისა და ტევადობის მაქსიმალურ გამოყენებას, მათი ბრუნვის დაჩქარებას, მუშაობის ზუსტი რეჟიმის დამყარებას, რომელიც არ დაუშვებს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ღონის შემცირებას დასვენების დღეებში და ღამით, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის ღონის ამალღებას, მისასვლელი რკინიგზის ღიანდაგების მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— უზრუნველყონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთათვის მაღალნაყოფიერი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა;

— უზრუნველყონ რეგულარული კონტროლი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისადმი.

4. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარაძე.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჟ. შარტავა.

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 ოტომბერი, № 659.

დ ა მ ტ რ ც ი ბ უ ლ ი ა

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 19 ოქტომბრის № 659 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით საწარმოთა და ორგანიზაციითა მისასვლელ ლიანდაგებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციითა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

1978 წლის ოქტომბრიდან მოეწყობა საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციითა კოლექტივებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით საწარმოთა და ორგანიზაციითა მისასვლელ ლიანდაგებზე სატვირთო მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციისათვის.

I. განისაზღვროს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ორი ჯგუფი:

I ჯგუფი:

ა) საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები:

1. მშენებლობის სამინისტრო;
2. სასოფლო მშენებლობის სამინისტრო;
3. დამზადების სამინისტრო;
4. კვების მრეწველობის სამინისტრო;
5. მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო;
6. საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო;
7. საავტომობილო გზების სამინისტრო;
8. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო;
9. სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
10. ვაჭრობის სამინისტრო;
11. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო;
12. ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო;
13. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი;
14. სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი;
15. ცეკავშირი;
16. საქმთავარწყალმშენი;
17. ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო.

II ჯგუფი:

ბ) საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები:

1. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა;
 2. საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“;
 3. სამთამადნო კომბინატი „ჭიათურმარგანეცი“;
 4. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა;
 5. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა;
 6. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა;
 7. რუსთავის ქიმიური ქარხანა;
 8. თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური;
 9. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი;
 10. საქართველოს მეორეული შავი ლითონების საწარმოო გაერთიანება;
 11. ცენტრალური გადასატვირთი ნავთობბაზა.
- II. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვალოს სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

1. სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების მოცდენის შემცირებას ნორმასთან შედარებით;
2. ვაგონის სტატიკური დატვირთვის დავალების შესრულებას;
3. ვაგონების დატვირთვის გეგმის შესრულებას;
4. ვაგონების მთლიანად დაცლასა და გაწმენდას;
5. მოძრავი შემადგენლობის დაცვა-შენახვას;
6. მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას მისასვლელ ლიანდაგებზე.

III. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად მასალებს მოამზადებენ და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას წარუდგენენ სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან, და პროფკავშირის საგზაო კომიტეტთან ერთად კვარტალის დამთავრების შემდეგ მომდევნო თვის 20 რიცხვამდე.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს შორის გაწეული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ყოველკვარტალურად საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის არა უგვიანეს 25 რიცხვისა და გამოქვეყნდება პრესაში.

IV. კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით თითოეულ ჯგუფში შეჯიბრების გამარჯვებულებს მიეკუთვნებათ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის



გარდამავალი წითელი დროშები და დიპლომები, აგრეთვე ფულადი პრემიები
შემდეგი ოდენობით: 1000 მანეთი I ჯგუფში გამარჯვებულს და 800 მანეთი —
II ჯგუფში გამარჯვებულს (ყოველ ჯგუფში თითო პრემია).

გამარჯვებულთა პრემირებისათვის სახსრებს გამოყოფს ამიერკავკასიის
რკინიგზის სამმართველო მატერიალური სტიმულირების ფონდიდან და იგი
განაწილდება მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემი-
რებისათვის მათი ხელფასის ფონდიდან და მატერიალური წახალისების ფონ-
დიდან გასაცემი თანხების პროპორციულად.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური
შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

69 გაზით სარგებლობის წესების დარღვევისათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ გაზით სარგებლობის წესების დარღვევა, როგორც არის: თვითნებურად გაზის დანადგარების დამონტაჟება, გადაადგილება, ქსელში ჩართვა, ექსპლუატაციის წესების დარღვევა და სხვა, თუ აღნიშნულ ქმედობას თავისი შედეგით არ მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას 10 მანეთამდე.

2. გაზით სარგებლობის წესების დამრღვევ პირთა დაჯარიმება დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ აღმინისტრაციულ კომისიებს ადგილობრივი გაზის მეურნეობის მიერ წარდგენილი ოქმის (აქტის) საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1978 წ. 29 სექტემბერი, № 599.

70 იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სინის შესახებ, რომელთა სახელეზიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეეძინებინა შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 3 იანვრის № 7 განკარგულების მე-2 პუნქტის შესასრულებლად და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 62-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სია, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუხედავად, თუ მათ შეეძინებინა შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

შეუწარჩუნდეთ თანდართულ სიაში აღნიშნულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლების უფლება, თუ

მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა იმ თარიღის შემდეგ, როცა აღნიშნული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ თავდაპირველად შეტანილი იყო იმ მუშა-მოსამსახურეთა სასამართლო წესით გამოსახლების უფლების მქონე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიებში, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა ზემოაღნიშნულ საფუძველზე.

2. დაწესდეს, რომ მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოსახლებულ იქნენ საუწყებო საცხოვრებელი სახლებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან დაუბრუნდნენ წინანდელ სამუშაო ადგილს.

დაევალოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სამუშაოდ მოაწყონ მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც გამოთქვამენ სამუშაოზე დაბრუნების თანხმობას, ამასთან მისცენ მათ სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად წინანდელი ან სხვა სამუშაო და აუნაზღაურონ შრომა არანაკლებ იმ თანხისა, რასაც ისინი იღებდნენ დათხოვნის მომენტში.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა 1978 წლის განმავლობაში გადასცენ, ხოლო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ბალანსზე იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საუწყებო საბინაო ფონდი, რომლებიც შეტანილი არაა ამ დადგენილებით დამტკიცებულ სიაში, „საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოებისათვის უწყებრივი საცხოვრებელი სახლების გადაცემისა და საბინაო ფონდის ექსპლუატაციის და მოვლაპატრონობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 ივლისის № 468 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ან შეიცვალოს ამ დადგენილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 5 ოქტომბერი, № 610.



დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით

ს ი ა

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის შიშვცემლად, თუ შათ შეწყვეტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასახელება	თარიღი, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები თავდაპირველად იყო შეტანილი იმათ სიაში, რომლებიც სარგებლობენ სასამართლო წესით მოქალაქეთა გამოსახლების უფლებით
<ol style="list-style-type: none"> 1. ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანა 2. ქიათურის მარგანეცის სამთაბადნო კომბინატი 3. საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმიჩრეწვის“ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა 4. კეიასის ტყვია-თუთიის მალაროთსამმართველო 5. საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმიჩრეწვის“ ჩორდის ბარიტის მალაროთსამმართველო 6. რუსთავის ქიმიური ქარხანა 	<p>1963 წლის 16 აპრილი</p> <p>„</p> <p>„</p> <p>„</p> <p>„</p> <p>1968 წლის 14 აგვისტო</p>
<ol style="list-style-type: none"> 7. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა 8. რუსთავის თუქსამსხმელო ქარხანა 9. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა 	<p>„</p> <p>1970 წლის 31 ივლისი</p> <p>1968 წლის 14 აგვისტო</p>
<ol style="list-style-type: none"> 10. რუსთავის ცემენტის ქარხანა 11. რუსთავის სამშენებლო ლითონკონსტრუქციების ქარხანა 12. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი 	<p>„</p> <p>1969 წლის 8 იანვარი</p> <p>1972 წლის 6 ივლისი</p> <p>1976 წლის 21 აპრილი</p>
<ol style="list-style-type: none"> 13. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა 14. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა 15. ქუთაისის მინის ტარის ქარხანა 	<p>1963 წლის 16 აპრილი</p> <p>„</p> <p>1966 წლის 2 სექტემბერი</p>
<ol style="list-style-type: none"> 16. თბილისის ფოლა-თუქსამსხმელო ქარხანა 17. ქარხანა „საქსოფლომანქანა“ 18. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა 	<p>1963 წლის 16 აპრილი</p> <p>„</p> <p>„</p>
<ol style="list-style-type: none"> 19. თბილისის ქარხანა „ელექტროშედლევა“ 21. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 	<p>„</p> <p>1963 წლის 16 აპრილი</p>
<ol style="list-style-type: none"> 22. ბათუმის გამოსაშენებელი ქარხანა 23. ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა (საწარმოო გაერთიანება „კავკასიანსფორმატორი“) 	<p>„</p> <p>„</p>

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასახელება

თარიღი, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები თავდაპირველად იყო შეტანილი იმათ სიაში, რომლებიც სარეგულირებენ სასაპარტოლო წესით მოქალაქეთა გამოსახლების უფლებით

24. ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელი ქარხანა	1963 წლის 16 აპრილი
25. ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატი“	”
26. კასპის ქარხანა „ელექტროაპარატი“	”
27. ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“	”
28. ცხინვალის ქარხანა „ემალსადენი“	”
29. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი	
30. გურჯაანის აგურის ქარხანა	1970 წლის 18 სექტემბერი
31. ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა	”
32. აჯამეთის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა	
33. გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა	1970 წლის 18 თებერვალი
34. სურამის მინის ტარის ქარხანა	1966 წლის 2 სექტემბერი
35. ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი	1963 წლის 16 აპრილი
36. მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი	1970 წლის 18 სექტემბერი
37. სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატი	
38. აგარის შაქრის კომბინატი	1972 წლის 3 მაისი
39. სოხუმის თევზკომბინატი	1967 წლის 27 თებერვალი
40. გორის ბამბეულის კომბინატი	
41. საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“	1963 წლის 16 აპრილი
42. საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“	
43. საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“	1977 წლის 3 ივნისი
44. საწარმოო გაერთიანება „საქნავეთობი“	1963 წლის 16 აპრილი
45. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“	1970 წლის 20 ივლისი
47. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი	1964 წლის 13 მაისი
48. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი	”
49. საქართველოს ზოთექანიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი	”
50. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის საცდელი სადგური	1967 წლის 14 თებერვალი
51. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვისა და სოხუმის ფილიალები	1970 წლის 15 აპრილი
52. საქართველოს მებალეობის, მეფენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	1964 წლის 13 მაისი
53. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნატანების ექსპერიმენტული ცენტრების საბჭოთა მეურნეობა	1970 წლის 15 აპრილი
54. თბილისის სტამბლური იზოტაპების ინსტიტუტი	1968 წლის 6 მაისი
55. საქართველოს საზღვაო სანაოსნო	



საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასახელება

თარიღი, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები თავდაპირველად იყო შეტანილი იმათ სიაში, რომლებიც სარგებლობენ სასამართლო წესით მოქალაქეთა გამოსახლების უფლებით

56. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო	1972 წლის 20 ივნისი
57. გაზის მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციები	1971 წლის 23 ივლისი
58. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს ჰიდროელექტროსადგურები და თბოელექტროსადგურები, ელექტროქსელები, ქარხანა „საქენერგორმონტი“	1964 წლის 28 აგვისტო
59. ტრესტ „საქპიდროენერგომშენის“ სამშენებლო ორგანიზაციები და საწარმოები	1968 წლის 20 ივნისი
60. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოები და ტრესტი	1963 წლის 16 აპრილი
61. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენი მასალების ტრესტი	1972 წლის 23 ივნისი
62. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო ტრესტი „ინეშენი“	1963 წლის 16 აპრილი
63. ტრესტი „კავკასელექტროქსელმშენი“	1969 წლის 7 თქტომბერი
64. „თბილგვირაბმშენის“ სამმართველო	1963 წლის 16 აპრილი
65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოები და დაწესებულებები	1972 წლის 6 ივლისი
66. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო	1975 წლის 21 აპრილი
67. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს ტყვარჩელის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტია	1963 წლის 16 აპრილი
68. გარდაბნის რაიონის სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა	„
69. გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	„
70. გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	1975 წლის 20 აგვისტო
71. გარდაბნის რაიონის ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	„
72. გარდაბნის რაიონის დიღმის მერძვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	„
73. გარდაბნის რაიონის გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა	„
74. გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა	„
75. თბილისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა	1966 წლის 4 ივნისი
76. ვაგრის მერძვეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	1964 წლის 18 ნოემბერი
77. ვაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა	„
78. ვაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „სიხარული“	„



საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დასახელება

თარიღი, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები თავდაპირველად იყო შეტანილი იმათ სიაში, რომლებიც სარგებლობენ სასამართლო წესით მოქალაქეთა გამოსახულების უფლებით

79. გუდაუთის რაიონის ახლი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	1966 წლის 18 მარტი
80. გუდაუთის რაიონის ბიზობრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	1967 წლის 14 თებერვალი
81. გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	1966 წლის 18 მარტი
82. ხელვაჩაურის რაიონის გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	
83. ხელვაჩაურის რაიონი ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	1966 წლის 18 მარტი
84. ქობულეთის რაიონის ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	1967 წლის 14 თებერვალი
85. მახარაძის რაიონის ლეკის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა	"
86. მახარაძის რაიონის ლეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	
87. ქობულეთის რაიონისჩაქვის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	
88. ქობულეთის რაიონი ოჩხამურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	
89. ქობულეთის რაიონი კვირიკეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	
90. ოჩამჩირის რაიონისკინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	
91. კრწანისის მებოსტნოვის საბჭოთა მეურნეობა	1974 წლის 23 დეკემბერი
92. ბაკურიანის ნადირმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობა	1971 წლის 16 აგვისტო
93. ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	1963 წლის 16 აპრილი
94. ბათუმის სახელმწიფო თევზჭერის ბაზა (ქ. ბათუმი)	1967 წლის 27 თებერვალი
95. სამრეწველო გაერჩიანება „საქართველოს ჩაის“ ჩაის ფაბრიკები	1963 წლის 16 აპრილი
96. ქობულეთის რაიონის ციხისძირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა	1967 წლის 14 თებერვალი
97. ენგურის ჰიდროლექტროსადგურის მშენებლობის სამმართველო	
98. საქართველოს სს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამმართველოები, ტრესტები და სამრეწველო საწარმოები	
99. საქართველოს სს მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები, მეიზაციის ტრესტი, ტრესტი „სპეცმშენი“ და სახლთსაშენებელი კომბინატები	
100. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორაქისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთსეთის კანტორები და სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში	1966 წლის 27 აპრილი

71 საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამეურნეო ორგანიზაციის დეპუტატების დამატებითი შეხვედრა

„სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭოს მიერ შემოტანილი თანდართული დებულება საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც შემუშავებულია სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების შესაბამისად და შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

2. საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმეურნეობა“ და საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოებმა მიიღონ ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით:

ა) ნება დართო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს, აგრეთვე კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციებს გამოიყენონ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციათა) შექმნასა და საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობისათვის კაპიტალური დაბანდებანი მათთვის დაწესებული გეგმების ფარგლებში, ამასთან დააფინანსონ ისინი საკუთარი სახსრების, ბიუჯეტის ასიგნებათა და სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტების ხარჯზე;

ბ) დაავალა სსრ კავშირის სახბანკსა და სსრ კავშირის მშენბანკს მისცენ სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) გრძელვადიანი კრედიტები:

— სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმო ბაზის განვითარებისა და გაფართოებისათვის, ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა მშენებლობისათვის — 15 წლამდე ვადით;

— ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების მექანიზაციის ხარჯებისათვის, წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძენად — 6 წლამდე ვადით.

„ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მიზნებისათვის განკუთვნილი კრედიტები დაიფარება მოყოლებული მესამე წლიდან გეგმის მიხედვით მშენებლობის დამთავრებისა და ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ;

— საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფა-



ცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობისათვის კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ საწარმოთა წილის ფარგლებში (ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრების ნაკლებობისას) — 15 წლამდე ვადით, ამასთან იგი დიფარება მოყოლებული მეხუთე წლიდან გეგმის მიხედვით მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

ამ პუნქტში აღნიშნული ღონისძიებებისათვის გრძელვადიანი კრედიტი სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) მიეცემათ სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმაში ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

მშენებლობის ვადადღე დამთავრებისას პროცენტული დანამატის ოდენობა შემცირდება სანახევროდ სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ განსაზღვრული წესით;

გ) დააწესა, რომ სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) მოკლევადიანი კრედიტი მიეცემათ სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოქმედი პირობების მიხედვით.

სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) მოკლევადიანი კრედიტით სარგებლობისათვის გადაიხდის წლიურ 1 პროცენტს ვადიანი სესხისა და წლიურ 3 პროცენტს ვადაგასული სესხისათვის, და გრძელვადიანი კრედიტით სარგებლობისათვის — წლიურ 0,75 პროცენტს ვადიანი სესხისა და წლიურ 1,5 პროცენტს ვადაგასული სესხისათვის;

დ) დააწესა, რომ სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) საკუთარი საბრუნავი სახსრები გაიზრდება ამ საწარმოს (ორგანიზაციის) სახსრების ხარჯზე, აგრეთვე მის მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) დამატებითი შენატანების ხარჯზე, ხოლო აღნიშნული სახსრების უკმარობისას — სსრ კავშირის სახბანკის კრედიტის ხარჯზე, რომელიც ამ მიზნით მიეცემა 3 წლამდე ვადით.

ნება დართო სსრ კავშირის სახბანკს მისცეს სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) კრედიტი 2 წლამდე ვადით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად, თუ ისინი იკისრებენ ვალდებულებას განხორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლებობის შევსების უზრუნველსაყოფად დამატებითი მოგების მიღების ხარჯზე, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო საწარმოთა (ორგანიზაციათა) ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების დროებით (2 წლამდე ვადით) 30 პროცენტით შემცირების ხარჯზე;

ე) დააწესა, რომ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველყოფა მოელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით განხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი ფონდების ხარჯზე, აგრეთვე იმ დარგების ფონდების ხარჯზე, რომელთა მეურნეობებიც შედიან სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) მონაწილეთა შემადგენლობაში;



ვ) დააკისრა „საკსოფლტექნიკას“ სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციების) მომარაგება შშენებლობისა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, აგრეთვე მეცხოველეობის კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, ფერმებსა და სხვა საწარმოო სასოფლო-სამეურნეო ობიექტებში საწარმოო პროცესთა მექანიზაციის, ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა მონტაჟისა და გაწყობის სამუშაოთა შესრულება ხელშეკრულებების საფუძველზე;

ზ) შშენებარე და სარეკონსტრუქციო სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციის საშუალებებითა და სხვა ნაკეთობებით დაკომპლექტების სამუშაოთა შესრულება დააკისრა:

— სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებულ „საკმთავარსოფლმშენკომპლექტს“ — სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის იმ საწარმოთა ხაზით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 0,5 მილიონ მანეთს და მეტს;

— „საკსოფლტექნიკას“ — ყველა დანარჩენი სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ხაზით.

ახლად მშენებარე სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების დაკომპლექტება მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით განხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 აპრილის № 226 დადგენილების მე-11 პუნქტით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 31 იანვრის № 96 დადგენილების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

უსტანდარტო მოწყობილობის დამზადება და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) უზრუნველყოფა ამ მოწყობილობით დაეკისრა „საკსოფლტექნიკას“.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 844 დადგენილება „საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სანიმუშო ღებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ლაბორატორია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1978 წლის 6 თებერვლის № 611 დღ-
 გეხილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო)
 სამშენებლო ორგანიზაციის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 მაისის № 145 დავალების შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების შესაბამისად, ნაცვლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 844 დადგენილებით დამტკიცებული საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სანიმუშო დებულებისა.

ამ დებულების საფუძველზე და თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით თითოეული საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია შეიმუშავებს თავის წესდებას.

I. ზოგადი დებულებანი

1. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის შექმნიან კოლმეურნეობები (შემდგომში „მონაწილე კოლმეურნეობად“ წოდებულნი) კოლმეურნეობებში საიჯარო საწყისებზე კაპიტალური მშენებლობის ერთობლივი განხორციელებისათვის თავიანთი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით, იქ, სადაც დიდია მშენებლობის მოცულობა, მატერიალური და ადამიანთა რესურსების უკეთ გამოყენების, კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების უფრო ეკონომიურად ხარჯვის, ინდუსტრიული მეთოდებისა და სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვით მშენებლობის ვადების შემცირებისა და ხარისხის ვაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე საშენი მასალების საწარმოებლად.

რაიონებში, სადაც არაა კოლმეურნეობები, მაგრამ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციები გამოთქვამენ სურვილს შექმნან სამშენებლო ორგანიზაცია წილობრივ საწყისებზე, აგრეთვე რაიონებში, სადაც მოქმედებდა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, მაგრამ მონაწილე კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კოლმეურნეობათა საპაიო შენატანები გადაუფორმდათ საბჭოთა მეურნეობებს, შეიქმნება სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია.

რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებში კაპიტალურ სამუშაოთა მცირე მოცულობის გამო შექმნილია მცირესიმძლავრეანი საკოლმეურნეობათაშორისო

(სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციები, სამშენებლო ბის კომპლექსური განვითარების, ამ ორგანიზაციების ტექნიკურ და სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების, შინაგანი რეზერვებისა და საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების, ამ ორგანიზაციების მიერ დავალებათა შესრულების, ობიექტების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების შემცირების მიზნით ორი და მეტი რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციებს მოცემული რაიონების მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების თანხმობით შეუძლიათ გაერთიანდნენ და შექმნან სარაიონთაშორისო საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია მთავარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ამასთან არ დაარღვიონ გაერთიანებულ ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობა.

მთავარი სტრუქტურული ერთეული განისაზღვრება ამ გაერთიანების შემადგენლობაში შესული სამშენებლო ორგანიზაციებიდან.

სარაიონთაშორისო საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია მოქმედებს დადგენილი წესით დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

კოლმეურნეობათა სახსრებით შექმნილი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია მათი საერთო საკუთრებაა.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილენი, ვარდა კოლმეურნეობებისა, შეიძლება გახდნენ იმავე პირობებით საბჭოთა მეურნეობები და სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციები მათი ადმინისტრაციის წარდგენით.

2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების გადაწყვეტილებას საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის შესახებ დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) ადგილსამყოფელის მიხედვით საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეობათა“ შეთანხმებით.

3. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია ოპერატიული მართვის საწყისებზე განახორციელებს მისთვის მიჩენილი იმ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, რომელიც საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციებს მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) შესაბამისი წილის ოდენობით.

თავის საქმიანობაში საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის წესდებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.



საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციამ მისთვის მინიჭებული უფლება უნდა გამოიყენოს სახალხო მეურნეობის, მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) და ორგანიზაციის მუშაკთა კოლექტივის ინტერესებისათვის.

4. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია თავის საქმიანობას განახორციელებს გეგმის მიხედვით, მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) მოთხოვნილებათა შესაბამისად, ასრულებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და არის იურიდიული პირი.

5. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებისათვის, რომელზედაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. იგი არ აგებს პასუხს მონაწილე მეურნეობების ვალდებულებათა მიხედვით, ხოლო მონაწილე მეურნეობები არ აგებენ პასუხს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის ვალდებულებათა მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციასთან მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) ურთიერთობის რეგულირება შეიძლება მოგების განაწილების გზით.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგება მთლიანად ეკუთვნით მონაწილე კოლმეურნეობებს (მეურნეობებს) და გამოიყენება ამ დებულების შესაბამისად.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი დაიფარება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, ხოლო ამ სახსრების ნაკლებობისას — მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) სახსრების ხარჯზე აღნიშნული კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების მიერ დადგენილი წესით.

6. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მართვას დემოკრატიულ საწყისებზე განახორციელებს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საკოლმეურნეობათაშორისო“ და ამ კრების მიერ არჩეულ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას — მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) მიერ უფლებამოსილი პირი — აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარე.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა მთელი კოლექტივი



ფართო მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციის სამშენებლო-სამონტაჟო-შაობა გეგმებისა და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების უზრუნველყოფის, საწარმო-სამეურნეო საქმიანობის სრულყოფის, მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში.

7. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო-ორგანიზაცია თავისი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება წესდებას, რომელსაც საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეობათაშორისო“ შეთანხმებით დაამტკიცებს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება და რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნულ უნდა იყოს:

ორგანიზაციის დასახელება, მისი ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

ორგანიზაციის საქმიანობის საგანი და მიზანი; მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) ნუსხა;

იმ ორგანოს დასახელება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ორგანიზაციას;

იმის აღნიშვნა, რომ ორგანიზაციას აქვს საწესდებო ფონდი;

რომ ორგანიზაცია მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

იმ თანამდებობის პირის დასახელება, რომელიც სათავეში უდგას ორგანიზაციას.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე ორგანიზაციის საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია მის საწარმო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლებამოვალეობებს შეიძენს და იურიდიული პირი ვახდება წესდების დამტკიცების დღიდან.

II. შექმნის წესი

8. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია შეიქმნება იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

გადაწყვეტილება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის შესახებ დამტკიცდება ზემოდაღვნილი წესით.

გადაწყვეტილებას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობაში კოლმეურნეობის შესვლის შესახებ მიიღებს კოლმეურნეთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება), რომელიც აირჩევს თავის წარმომადგენლებს დამფუძნებელთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებით და იმ უფლებამოსილებით, რომ კოლმეურნეობის სახელით ხელი მოაწერონ გადაწყვეტილებას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

გადაწყვეტილება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობაში სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების შესვლის შესახებ მიიღება მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად.

საბჭოთა მეურნეობა, სხვა სახელმწიფო საწარმო ან ორგანიზაცია საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობაში შევა თავისი ზემდგომი ორგანოს თანხმობით.

საბჭოთა მეურნეობის, სხვა სახელმწიფო საწარმოს ან ორგანიზაციის დირექტორი დანიშნავს წარმომადგენლებს დამფუძნებელთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებით.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შექმნამდე დაინტერესებულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებმა სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობის“ დახმარებით ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ ხსენებული ორგანიზაციის შექმნასთან და საქმიანობასთან, მონაწილეთა შემადგენლობასთან და სიმძლავრესთან დაკავშირებული საკითხები რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის ვათვალისწინებით.

9. ახალ მეურნეობებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შემადგენლობაში მათი თხოვნით და საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით (რეკომენდაციით) მიიღებს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება.

10. მონაწილე კოლმეურნეობებს (მეურნეობებს) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

11. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობიდან ცალკეულ მეურნეობათა გავლის საკითხს გადაწყვეტს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა საერთო კრება კოლმეურნეობების მიმართ — კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილების საფუძველზე, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზა-

ციების მიმართ — მათი წესდებების (დებულებების) შესაბამისად გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციების მიმართ — მათი თხოვნით, ზემდგომი ორგანოს ნებართვით.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ კოლმეურნეობა (მეურნეობა) გააფრთხილებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს გასვლამდე 6 თვით ადრე მაინც.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობიდან გამსვლელ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს ანგარიში გაუსწორდებათ სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

III. ქონება და სახსრები

12. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სახსრები შეიქმნება მის მონაწილეთა შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) წილობრივი შენატანებისაგან, საკუთარი სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხებისაგან, საამორტიზაციო ანარიცხებისაგან, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

13. მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) წილობრივი შენატანების ოდენობის განსაზღვრისა და მათი შეტანის წესს დაადგენს ამ კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილება.

წილობრივი შენატანები საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილე კოლმეურნეობებს (მეურნეობებს) შეაქვთ როგორც ფულადი სახსრების, ისევე მატერიალური ფასეულობების სახით იმ გზით, რომ გადარიცხავენ აღნიშნული ორგანიზაციის ბალანსზე საწარმოო შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ქონებას საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის კრედიტების ხარჯზე შექენილი (აშენებული) ქონების გადაცემისას სესხის დაუფარავ დავალიანებას წილობრივი შენატანის ოდენობით დაფარავს მონაწილე კოლმეურნეობა (მეურნეობა), ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაუფორმდება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის კრედიტის დაფარვის წინანდელი ვადების დატოვებით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების წილობრივი შენატანები შეაქვთ:

კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრების ხარჯზე;

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს — საკუთარი სახსრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასივნებათა ხარჯზე.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კერძო საწარმო-ორგანიზაციებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის შექმნაში წილობრივი მონაწილეობის წესით შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული ორგანიზაციის საწარმოო ბაზის განვითარებისა და გაფართოებისათვის, ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა მშენებლობისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და მშენებლობის მექანიზაციის დანახარჯებისათვის და სამშენებლო წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად, მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებების, აბანოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ასაშენებლად მათთვის გამოყოფილი სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტები, იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს აღნიშნული მეურნეობებისათვის დაკრედიტების შესაბამისი ობიექტების მიხედვით დაწესებულ ვადებში.

14. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციისათვის მიჩენილი ძირითადი საშუალებებითა და საბრუნავი სახსრებით შეიქმნება მისი საწესდებო ფონდი, რომლის ოდენობა აისახება ამ ორგანიზაციის ბალანსში.

15. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა დამტკიცდება მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების ვადაწყვეტილებით საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან“ შეთანხმებით ანალოგიური სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების ნორმირებისათვის დადგენილი წესით.

16. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საკუთარი საბრუნავი სახსრები ვაიზრდება ამ ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, აგრეთვე მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) დამატებითი შენატანების ხარჯზე, ზოლო მათი ნაკლებობისას — სსრ კავშირის სახბანკის კრედიტის ხარჯზე.

17. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის აქვს საამორტიზაციო ანარიცხები ძირითადი ფონდების მთლიანად აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის და ხარჯავს მათ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

18. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციაში შეიძლება შეიქმნას:

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე გადაყვანულ ორგანიზაციებში — ორგანიზაციის ფონდი;

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე გადაყვანილ ორგანიზაციებში — განვითარების ფონდი, მატერიალური წახალისების ფონდი და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.



19. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიღებული მოგება მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად:

ა) გადაიცემა საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის განკარგულებაში სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის გრძელვადიანი კრედიტების დასაფარავად და მათი სარგებლობისათვის პროცენტების გადასახდელად, კადრების მომზადების განვითარების ფონდის შესაქმნელად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პრემირებისათვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციის ხარჯების დასაფარავად, კლუბების, პიონერთა ბანაკების შესანახად და ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისათვის გამოსაყენებლად;

ბ) მოხმარდება ორგანიზაციის ფონდის შექმნას ან ორგანიზაციის განვითარების, მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნას მატერიალური წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებულ ფონდში ანარიცხების გათვალისწინებით.

მოგების დანარჩენი თანხა განაწილდება მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) შორის საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციაში მათი წილობრივი შენატანების გათვალისწინებით.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ ფონდებში მოგების ანარიცხების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობის“ გამგეობა აღნიშნული ფონდების დებულების შესაბამისად.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის განვითარების ფონდი შეიქმნება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ წინა წელს მიღებული საბალანსო მოგების ყოველწლიური ანარიცხების, ანალოგიურ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებში მოქმედი ნორმების შესაბამისად დაწესებული ოდენობით ძირითადი ფონდების მთლიანად აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების, ზედმეტი ქონების რეალიზაციის ამონაგების და კაპიტალური დაბანდებებისათვის გათვალისწინებული სახსრების სხვა შემოსულობათა ხარჯზე.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სახსრები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური დაბანდებისათვის, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის მატებისათვის, მათ შორის ამ მიზნით მიღებული სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების დასაფარავად, მონაწილე კოლმეურნეობებს (მეურნეობებს) ჩაეთვლება წილობრივ შენატანში.

20. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის ფონდები მოხმარდება:

დაგვემვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე გადაყვანილ ორგანიზაციებში:

ა) განვითარების ფონდი — ახალი ძირითადი ფონდების შექმნას, მოქმედი ძირითადი ფონდების გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატებას, აგრეთვე ორგანიზაციის სამშენებლო და სამრეწველო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებათა დაფინანსებას;

ბ) მატერიალური წახალისების ფონდი — მუშათა (კოლმეურნეთა), ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიების მუშაკთა პრემირებას;

— ორგანიზაციის მუშაობის საერთო წლიური შედეგებისათვის მუშათა (კოლმეურნეთა), ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიების მუშაკთა ჯილდოების გაცემას;

— შინასამეურნეო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკებისათვის პრემიების მიცემას;

— განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის მუშაკთა ერთდროულ წახალისებას;

— ორგანიზაციების მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გაწევას;

გ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი:

— საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას;

— მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და აამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი კვების გაიაფებას, საექიმო-სანიტარიული დაწესებულებებისათვის მედიკამენტების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების, ტურისტული საგზურების შექმნას, სასადილოებისა და ბუფეტების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების, კლუბების, საბავშვო დაწესებულებების აღჭურვას, მათი საჭიროებისათვის სატრანსპორტო საშუალებებისა და ინვენტარის შექმნას, ფიზკულტურულ ღონისძიებებს, საბავშვო ბაგებში, ბაღებში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, პიონერთა ბანაკებში ბავშვთა კვების გაუმჯობესებას და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე გადაუყვანელ ორგანიზაციებში:

ორგანიზაციის ფონდი — ახალი ძირითადი ფონდების შექმნას, მოქმედი ძირითადი ფონდების გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატებას, აგრეთვე ორგანიზაციის სამშენებლო და სამრეწველო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებათა დაფინანსებას; საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას — საცხოვრებელი სახლების, კლუბების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების მშენებლობას, სასადილოებისა და ბუფეტების, სპორტული ნაგებობების მშენებლობასა და რემონტს, მათთვის საჭირო ინვენტარისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნების შექმნას, აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბინაო ფონდის რემონტს;



— მუშაკთა ინდივიდუალურ პრემიერებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებელ მომსახურების გაუმჯობესებას, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შექმნას და მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გაწევას.

ორგანიზაციის ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებს მიმართულებათა მიხედვით გაანაწილებს, ამ ფონდებიდან მუშაკთათვის მისაცემი პრემიებისა და სხვა თანხების ოდენობას განსაზღვრავს, აღნიშნული ფონდების სახსრების ხარჯვის ნუსხებს დაამტკიცებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად.

21. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის უფლება აქვს:

ა) საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის ზედმეტი და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების თანხმობით დადგენილი წესით მისცეს იჯარით ან მიჰყიდოს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმო-ორგანიზაციებს;

ბ) ჩამოსწეროს ორგანიზაციის ბალანსიდან შენობა-ნაგებობანი, სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა და სხვა საგნები და ქონება, რომლებიც ძირითადი ფონდების (საშუალებების) შემადგენლობაში ირიცხება, მაგრამ მორალურად მოძველდა, მთლიანად დაკარგა თავისი საწარმოო დანიშნულება სამსახურის დაწესებულები ვადის გასვლის შემდეგ ფიზიკური ცვეთის, სტიქიური უბედურების შედეგად, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს.

დასაშვებია აგრეთვე არასრულყოფილი კონსტრუქციების მანქანებისა და მოწყობილობის ჩამოსწერა, თუ მათი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელია, ხოლო მოდერნიზაცია ტექნიკურად მიზანშეუწონელია ან ეკონომიკურად არაეფექტიანია.

ბალანსიდან ჩამოიწერება აგრეთვე ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული ან დაძველებული შენობა-ნაგებობანი.

„ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ მიერ დადგენილი წესით, ანალოგიურ სახელმწიფო ორგანიზაციაში მოქმედი დებულების შესაბამისად;

გ) ჩამოსწეროს ზარალში და შეატყობინოს ამის შესახებ მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებას და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“.

— დებიტორული დავალიანება, რომლის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასულია;

— იძულებითი ვალი, რომლის გამო დაბრუნდა სააღსრულებო დოკუმენტები სასამართლოს მიერ დამტკიცებული აქტით იმის შესახებ, რომ მოპასუხე ვალაუვალა და შეუძლებელია მიქცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომლის მიღებას ორგანიზაციები უიმედოდ ცნობენ;

დ) ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში 100 მანეთამდე ფარგლებში და შეატყობინოს მონაწილე საკომპლექსურებების (მეურნეობების) რწმუნებულთა კრებას და საქართველოს საკომპლექსურებათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკომპლექსურმშენს“:

— ფასეულობათა დანაკლისი ზარალის ნორმის ვადამეტებით, აგრეთვე საქონლის, მასალებისა და პროდუქციის ვაფუჭებით გამოწვეული დანაკარგები იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული დამნაშავეები დაუდგენელია;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით გამოწვეული ვალი, რომლის გადახდევინებაზე სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო.

ამ დებულების 21-ე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით ვათვალისწინებულ ზარალი ორგანიზაციის ბალანსიდან შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით გულდასმით შემოწმდება ზარალის მიზეზები, დადგენილ იქნებიან დამნაშავე პირები და მიღებულ იქნება საჭირო ზომები, რომ მათ გადახდეთ ზარალის გამო დაკარგული თანხები.

22. საკომპლექსურებათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია უფასო სარგებლობისათვის მისცემს ორგანიზაციის პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს ორგანიზაციის ბალანსზე რიცხულ ან მის მიერ იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებს, ბალებსა და პარკებს, რომლებიც ვათვალისწინებულია ორგანიზაციის მუშაკთა და მათი ოჯახების წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაშლელად, პიონერთა ბანაკებს, აგრეთვე ტექნიკური პრობაგანდის განხორციელებისათვის ვათვალისწინებულ შენობებს, სადგომებსა და ნაგებობებს.

აღნიშნული ობიექტების სამეურნეო მოვლა-პატრონობა, რემონტი, ვათვალისწინებულია, განათება, დაგვა-დალაგება, დაცვა და მოწყობა ხორციელდება ორგანიზაციის ზარჯზე, იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული ობიექტებით სარგებლობენ სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, ეს საწარმოები და ორგანიზაციები მიიღებენ წილობრივ მონაწილეობას ხსენებულ ხარჯებში.

საკომპლექსურებათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია უფასო სარგებლობისათვის მისცემს საკომპლექსურებათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი მუშაობისათვის აუცილებელ და მუშა-მოსამსახურეთა კრებების ჩატარებისათვის საჭირო



სადგომებს, უზრუნველყოფს მოწყობილობის გამოყოფას, ამ სადგომებზე განთავსებას, განათებას, დაცვასა და დაგვა-დალაგებას, აგრეთვე მისცემს უფასო სარგებლობისათვის აღნიშნულ ორგანიზაციებს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია ვადასცემს ბალანსიდან ბალანსზე საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ინვენტარს, რომლებიც შექმნილია ორგანიზაციის იმ სახსრების ხარჯზე, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასეთი ქონების შესაძენად.

23. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია უფასოდ მისცემს:

— მასთან არსებულ საექიმო-სანიტარიულ დაწესებულებას (პუნქტს) სადგომს და უზრუნველყოფს მის გათბობას, განათებას, წყალმომარაგებას, დაცვას, დაგვა-დალაგებასა და რემონტს;

— სასადილოსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციას, რომელიც ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ბალანსზე ირიცხება და მის მუშაობა კოლექტივს ემსახურება, სადგომს და უზრუნველყოფს მის გათბობას, განათებასა და წყალმომარაგებას.

24. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ ორგანიზაციის ქონებას, განახორციელონ შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, გამოიჩინონ მკაცრი ეკონომია მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში. აღნიშნული ქონების გაფუჭებისა და მატერიალური ზარალის მიყენებისათვის დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დღევინილი წესით.

IV. საწარმო-სამეურნეო საქმიანობა

25. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია შეასრულებს მონაწილე კოლმეურნეობებისათვის (მეურნეობებისათვის) სახელშეკრულებო საწყისებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს:

სოფლად, აგრეთვე რაიონულ ცენტრებში, მუშათა დაბებსა და ქალაქის ტიპის დაბებში განლაგებული სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადაამუშავებისათვის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურებისათვის ობიექტების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ. რემონტზე, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მშენებლობაზე;

საკუთარი საწარმოო ბაზების, საშენ მასალათა, ნაკეთობათა და კონსტრუქციათა საწარმოების მშენებლობა და რეკონსტრუქციაზე სიღიჯარო სამუშაოთა პროგრამის შესასრულებლად და იმ კოლმეურნეობებისათვის დახმარების გა-

საწევად, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სამეურნეო წესით, ლობჯივი საშენი მასალებითა და კონსტრუქციებით.

26. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია კოლექტივის მუშაკთა ფართო მონაწილეობით, შემკვეთთა წარდგენითა და მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შეიმუშავებს მშენებლობის ობიექტების ჩაბარებისა და სხვა მომსახურების გაწევის გეგმებს.

ამ გეგმებს დაამტკიცებს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეშენთან“ შეთანხმებით.

საწარმო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია გამოიყენებს სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის ყველაზე პროგრესულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ფორმებს, უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგების მიღწევას შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უმცირესი დანახარჯებით, დაიცავს მშენებლობის ხანგრძლივობის დაწესებულ ვადებს, გააუმჯობესებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს და შეამცირებს მათს ღირებულებას, რაციონალურად გამოიყენებს თავის დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოო ფონდს.

27. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზემოთ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია:

უზრუნველყოფს საიჯარო საქმიანობის გეგმის დროულად შესრულებას, სამშენებლო წარმოების შემდგომ სრულყოფასა და ეფექტიანობის ამაღლებას, სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, მათი ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას, მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას;

მიიზიდავს სუბსაიჯარო საწყისებზე სახელმწიფო საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სპეციალიზებულ ორგანიზაციებს სამონტაჟო, სპეციალურ სამშენებლო და გასაშვებ-გასაწყობ სამუშაოთა შესასრულებლად;

უზრუნველყოფს დამხმარე და სამრეწველო წარმოების პროდუქციის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას, სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების საერთო რენტაბელობას;

აწარმოებს, მოიპოვებს და დაამზადებს თავისი საჭიროებისა და მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) საჭიროებისათვის ადგილობრივ საშენ მასალებს, დაამზადებს ხე-ტყის ტყესაკავებში როგორც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ისევე მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე დადგენილი წესით და გამოიზიდავს მას საკუთარ ბაზებში;

განხორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცებისათვის; აღკვეთს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების

დატაცებასა და მფლანგველობას, უზრუნველყოფს სოციალისტური რების დაცვას ორგანიზაციებში და საწარმოებში;

დანერგავს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას, სამრეწველო საწარმოებსა და დამხმარე წარმოებებში შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს (შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, დისპეტჩერული მართვა, ნაკადური და მთლიანასაწყობი მშენებლობა, სამეურნეო-გარეშე-ბრიგადები და ა. შ.) და ახალ ტექნიკას. განახორციელებს მუშაობას გამოფინებისა და რაციონალიზაციის დარგში, უზრუნველყოფს გამოფინებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად განხილვას;

მიიღებს მონაწილე კოლმეურნეობებისაგან (მეურნეობებისაგან), ხოლო დამხმარე წარმოებისა და სამრეწველო საწარმოების თავისუფალ სიმძლავრეთა არსებობისას — სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან ნედლეულსა და მასალებს პროდუქციის დასამზადებლად ხელშეკრულებათა მიხედვით;

შეიძენს საჭირო მოწყობილობას, ნედლეულს, მასალებს, სათბობსა და წარმოების სხვა საშუალებებს, მათ შორის წვრილსაბითუმო სპეციალიზებულ ბაზებშიც; დაწესებულ სახელმწიფო ფასებში.

28. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია აწარმოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებსა და პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტების, სსრ კავშირის სახმუნენის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტექნიკური პირობების მოთხოვნების ან მხარეთა შეთანხმებით დაწესებული ტექნიკური პირობების შესაბამისად, თუ აღნიშნულ პროდუქციოზე არ არის დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტები ან შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი ტექნიკური პირობები.

29. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია დაამტკიცებს ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერჯის ხარჯვის ნორმებს, თუ ამ ნორმების დამტკიცება საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“ გამგებლობას არ განეკუთვნება.

30. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე დამზადებული საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ფასები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით სახელმწიფო საბითუმო ფასების დონის შესაბამისად.

იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული პროდუქციის წარმოება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციისათვის მოქმედი სახელმწიფო საბითუმო ფასების პირობებში ზარალიანია ან ნაკლებრენტაბელურია, ამ პროდუქციის ფასებს დააწესებენ ფასწარმოქმნის ორგანოები, მისი წარმოებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული დანახარჯებისა და რენტაბელობის დონის გათვალისწინებით 25 პროცენტამდე ოდენობით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მონაწილე კოლმეურნეობებისათვის (მეურნეობებისათვის) შესასრულებელი საწარმოო ხასიათის სამუშაოებისა და მომსახურების ტარიფები დაწესდება მხარეთა შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მომსახურების ცალკეულ სახეობებზე ვრცელდება ფაწარმოქმნის ორგანოების მიერ დამტკიცებული ტარიფები.

31. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი ფონდების ხარჯზე, აგრეთვე იმ დარგების ფონდების ხარჯზე, რომელთა მეურნეობებიც შედიან საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობაში.

იმ შემთხვევებში, როცა მშენებლობისათვის გამოყოფილი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ნაკლებობისას მოიჯარე — საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია გამოიყენებს თავის საწარმოებში წარმოებულ, აგრეთვე სხვა საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოებში დამზადებულ ან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში შექმნილ საშენ მასალებს, ნაკეთობებსა და კონსტრუქციებს, რომელთა ფასები დამტკიცებულია დადგენილი წესით და აღემატება ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულ ოდენობას, შემკვეთი — კოლმეურნეობა (მეურნეობა) გადაუხდის ცალკე ანგარიშების მიხედვით მოიჯარეს — საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) ორგანიზაციას ამ მასალების ფრანკო—ობიექტის საწყობი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებათა სხვაობას.

აღნიშნულ საშენ მასალათა და ნაკეთობათა ღირებულებათა სხვაობა კაპიტალურ-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობაში არ შედის და ზედნადები ხარჯები და საგეგმო დაგროვება მასზე არ დაირიცხება.

32. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის ხელფასის ფონდი განისაზღვრება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, დამხმარე წარმოებისა და მომსახურე მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევის და სამშენებლო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოთა შესრულების საგეგმო მოცულობის შესაბამისად, ანალოგიური სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი ფონდის გამოანგარიშების წესის მიხედვით და დამტკიცდება საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და საშტატო რიცხოვნობის რეკომენდაციებში განსაზღვრული წესით.

33. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციაში შრომის ორგანიზაციის, სამუშაო დროისა და დასვენების დროის ხანგრძლივობის, დასვენების დღეებისა და შვებულების მიცემის, წახალისებისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების საკითხები, აგრეთვე მუშაკთა შრომის ორგანიზაციის სხვა საკითხები გადაწყდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, ამ დებულებისა და ანალოგიური სახელმწი-



ფო სამშენებლო ორგანიზაციების სახელმწიფო საწარმოთა შრომითი ნაწესის შესაბამისად.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკებს შრომა აუნაზღაურდებთ რეკომენდაციების საფუძველზე.

34. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციას უფლება აქვს:

— დაუწესოს შრომის სანარდო, დროებრივი ან აკორდული ანაზღაურება მუშათა (კოლმეურნეთა) ცალკეულ ჯგუფებს;

შეიმუშაოს, დაამტკიცოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას და დამხმარე წარმოებებში გამომუშავეებისა და ფასდების ადგილობრივი ნორმები იმ სამუშაო პროცესებისათვის, რომლებსთვისაც არსებობს საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური ან საუწყებო ნორმები და ფასდებანი;

განსაზღვროს იმ მუშათა (კოლმეურნეთა) პროფესიების ნუსხა, რომლებისთვისაც შრომის დროებრივი ანაზღაურებისას გამოიყენება მენარდეთა სატარიფო განაკვეთები შრომითი დანახარჯების დარგობრივი და სხვა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების (ნორმირებული დავალებების, მომსახურების ნორმებისა და რიცხოვნობის ნორმატივების) მიხედვით მათი მუშაობის პირობებში და თვიური სარგოები დროებრივ მუშათა სატარიფო განაკვეთების ნაცვლად;

დააწესოს სამუშაოთა თანრიგები და მიაკუთვნოს მუშებს (კოლმეურნეებს) თანრიგები მოქმედი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად;

განსაზღვროს მუშათა (კოლმეურნეთა) პროფესიებისა და იმ სამუშაოების ნუსხა, რომლებიც გადიდებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით ანაზღაურდება შრომის მიმე და მავნე პირობებთან დაკავშირებით, რეკომენდაციებში აღნიშნული ამ პროფესიებისა და სამუშაოების ნუსხის შესაბამისად;

მიაკუთვნოს სამშენებლო უბნები, დამხმარე წარმოების საამქროები და ორგანიზაციათა სხვა შინაგანი ქვედანაყოფები ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფს, აგრეთვე გადაიყვანოს ისინი ერთი ჯგუფიდან მეორეში წარმოების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელოს რეკომენდაციებით დაწესებული მაჩვენებლებით;

წახალისოს დადგენილი წესით მუშაკები პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოების ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის, გეგმასთან შედარებით მუშაკთა რიცხოვნობის შემცირების უზრუნველსაყოფად და შრომის ნაყოფიერების გასაღიდიდებლად ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, დროებით არმყოფი მუშების მოვალეობათა შესრულებისათვის.

ამ პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებებს რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო მოცემული ორგანიზაციის ხელფასის ფონდის ფარგლებში და პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.



35. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციას შეუძლია დაუწესოს მაღალკვალიფიციურ ოსტატებსა და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ხელფასის დანამატები თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) 30 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის სავეგმო ფონდის ფარგლებში, რისთვისაც გამოიყენოს აღნიშნული მიზნებისათვის საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობების“ ნებართვით ორგანიზაციათა ხელფასის სავეგმო ფონდის 0,3 პროცენტამდე.

36. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია მოთხოვნილების შესაბამისად უზრუნველყოფს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, გაგზავნის მოწინავე მუშებსა და მოსამსახურეებს მათი სურვილისამებრ სასწავლებლად უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და დაუნიშნავს მათ გადიდებულ სტიპენდიებს, ამასთან მათს კანდიდატურებს წამოაყენებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

37. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია ახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, დადგენილი წესით შემოიღებს დროის, მომსახურების სადარგთაშორისო და დარგობრივ ნორმებს და სხვა, გამოსაყენებლად სავალდებულო ნორმატივებს, შექმნის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობებს, ამასთან მიიღწევს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სოციალური დაზღვევის წესებისა და ნორმების შესრულებას.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია სარგებლობს აგრეთვე სხვა უფლებებით და ასრულებს მოვალეობებს კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის დარგში ანალოგიური სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების უფლება-მოვალეობათა შესაბამისად.

38. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციას და მის საწარმოებს თავიანთი საწარმოო საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, რეკომენდაციებით დადგენილი წესის შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ ცალკეული პირობები სახელმწიფო სოციალისტური საწარმოს დებულების მიხედვით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების პრინციპებს.

39. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია განახორციელებს სამრეწველო და სამეურნეო ნარჩენებით, ჩამდინარი წყლებითა და წარმოების ნარჩენებით გაუქუციანებისაგან ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების დაცვის, აგრეთვე ხმაურის წინააღმდეგ-ბრძოლის ყველა საჭირო ღონისძიებას.

V. მართვის ორგანოები

40. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მართვის უმაღლესი ორგანოა მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციისა და მისი სამრეწველო საწარმოების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის განსახორციელებლად და საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებისა და სრულყოფის, მისი ეფექტიანობისა და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებათა დროულად შესრულებისათვის, მშენებლობის სხარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისათვის, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისა და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გადიდებისათვის საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ნოემბრის № 562 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“, რომელიც საკოლმეურნეო-კოოპერაციული გაერთიანებაა და მის შემადგენლობაში შედიან საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო, სპეციალიზებული და საპროექტო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები.

ზემოაღნიშნული სადირექტივო ორგანოების 1974 წლის 29 მაისის № 287 დადგენილებით საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“ შეყვანილ იქნა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში, ამასთან შეუნარჩუნდა მას საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის მართვის არსებული სისტემა და ფორმა.

საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“ მოქმედებს დადგენილი წესით დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მართვის ფუნქციას განახორციელებს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან“ შეთანხმებით და მისი რეკომენდაციების მიხედვით.

41. მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებული წარმომადგენლები აირჩევიან თითოეული კოლმეურნეობისაგან (მეურნეობისაგან) თანაბარი რაოდენობით, მეურნეობის მოცულობისა და მისი წილობრივი მონაწილეობის მიუხედავად, 3 წლის ვადით.

რწმუნებული წარმომადგენლები კოლმეურნეობებისაგან აირჩევიან კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მიერ, ხოლო სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან — მათი წესდებების

(დებულებების) შესაბამისად განსაზღვრული წესით, საბჭოთა მეურნეობის განვითარების საგან კი დაინიშნებიან დირექტორის ბრძანებით. მონაწილე კოლმეურნეობებს (მეურნეობებს) უფლება აქვთ გაიწვიონ თავიანთი რწმუნებული წარმომადგებლები და აირჩიონ (დანიშნონ) მათ ნაცვლად სხვა პირები აღნიშნული წესით.

42. მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება: ამტკიცებს ორგანიზაციის წესდებას, აგრეთვე შეაქვს მასში საჭირო ცვლილებები და დამატებები, რაც შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნეს სახალხო დებუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

განსაზღვრავს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის რაოდენობრივ შემადგენლობას და ირჩევს ღია კენჭისყრით საბჭოს წევრებს, მის თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიის წევრებს 3 წლის ვადით;

იხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების განცხადებებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციის შემადგენლობაში მათი მიღების შესახებ და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ განცხადებათა გამო;

განსაზღვრავს მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) წილობრივი და დამატებითი შენატანების ოდენობას, აგრეთვე მათი შეტანის წესსა და ვადებს;

ამტკიცებს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშეხებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეობათა“ შეთანხმებულ წლიურ ანგარიშებს, სამშეხებლო-საფინანსო და საწარმო-საფინანსო გეგმებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთა ნუსხებით, სამშეხებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, განვითარების პერსპექტიულ გეგმებს, მოგების გამოყენებისა და ზარალის დაფარვის წესს, აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციის სოციალური განვითარების გეგმებს;

ამტკიცებს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშეხებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეობათა“ შეთანხმებულ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციის საშტატო განრიგს და ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და სხვა მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს რეკომენდაციების შესაბამისად;

ისმენს ანგარიშებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ და ამტკიცებს რევიზიის აქტებს;

ამტკიცებს აქტებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშეხებლო ორგანიზაციისა და საწარმოების ბალანსიდან გაცვეთილი და შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ, როცა მისი აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად, მიზანშეუწონელია, და იგი არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს სახალხო მეურნეობის შესაბა-



მისი დარგების ანალოგიური სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებში საწარმოებისათვის დადგენილი წესით;

იხილავს მონაწილე კოლმეურნობათა (მეურნობათა) განცხადებებს საკოლმეურნობათაშორისო (სამეურნობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეთა შემადგენლობიდან მათი გასვლის შესახებ დაწესებულ ვადებში და მათთან ანგარიშსწორების წესს;

იღებს გადაწყვეტილებებს რაიონების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების გაერთიანებებში საკოლმეურნობათაშორისო (სამეურნობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ.

მონაწილე კოლმეურნობების (მეურნობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებას შეუძლია აგრეთვე განიხილოს და გადაწყვიტოს საკოლმეურნობათაშორისო (სამეურნობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

43. მონაწილე კოლმეურნობების (მეურნობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება მოიწვევა სამუშაო გეგმის შესაბამისად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე კრება — მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით. მონაწილე კოლმეურნობების (მეურნობების) რწმუნებული წარმომადგენლები და კრებას უფლება აქვს გადაწყვიტოს განსახილველი საკითხები, თუ მას ესწრება მონაწილეთა სულ ცოტა ორი მესამედი. გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

44. საკოლმეურნობათაშორისო (სამეურნობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო:

განიხილავს წლიურ ანგარიშებს, სამშენებლო-საფინანსო და საწარმოო გეგმების პროექტებს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და პერსპექტიული განვითარების გეგმების პროექტებს, შეიმუშავებს საკოლმეურნობათაშორისო (სამეურნობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთა ნუსხებს, აგრეთვე ორგანიზაციის სოციალური განვითარების გეგმებს, განიხილავს მოგების გამოყენებისა და ზარალის დაფარვის საკითხებს და საქართველოს საკოლმეურნობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნშენთან“ შეთანხმებით შესაბამის წინადადებებს წარუდგენს და სამტკიცებლად მონაწილე კოლმეურნობების (მეურნობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებას;

დაამტკიცებს შრომითს შინაგანაწესს ანალოგიურ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებში მოქმედი წესების შესაბამისად;

პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად, რეკომენდაციების საფუძველზე, შეიმუშავებს მუშაკთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებსა და პირობებს და საქართველოს საკოლმეურნობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნშენთან“ მათი შეთანხმების შემდეგ წარუდგენს დასამტკიცებლად მონაწილე კოლმეურნობების (მეურნობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებას;

იხილავს საიჯარო ხელშეკრულებათა დადებისთან და შესრულებებისა ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფასთან, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის დამხმარე წარმოებებისა და სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ამტიციებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მისაღებად უიმედოდ ცნობილი ვალის ჩამოწერის აქტებს, რის შესახებაც შეატყობინებს საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნეშენს“;

პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას, წყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური და მორალური წახალისების საკითხებს;

მოისმენს საბჭოს თავმჯდომარის, საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის დამხმარე წარმოებებისა და მომსახურე მეურნეობების ხელმძღვანელთა ანგარიშებს კვარტალში მუშაობის შედეგების შესახებ;

საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს და წყვეტს აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

45. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო პასუხს აგებს დაწესებულ გეგმების შესრულებისათვის, სადინანსო, შრომისა და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის, ორგანიზაციის საქმეთა მეურნეობრივი გაძღოლისათვის.

46. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს სხდომები მოეწყობა კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომა — საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

სხდომა უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება საბჭოს არჩეულ წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

47. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე:

აწორცილებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობისადმი;

უზრუნველყოფს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებისა და ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებათა, საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“ მითითებათა შესრულებას და პერსონალურად აგებს პასუხს ორგანიზაციის საქმიანობისათვის, დაწე-

სებული გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის, საფინანსო-სამეურნეო დისციპლინის, შრომის კანონმდებლობის დაცვისა და სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის;

რწმუნებათა გარეშე მოქმედებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სახელით, წარმომადგენლობს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციის ქონებასა და სახსრებს, ვასცემს რწმუნებებს (მათ შორის რწმუნების გადაცემის უფლებით), გახსნის სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენაწის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, განაგებს სახსრებს ამ ანგარიშების მიხედვით, განაზორციელებს საგადაამხდლო მოთხოვნათა აქცეპტს, წარადგენს აკრედიტივებს, მიიღებს ბანკის კრედიტებს და შეასრულებს სხვა ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციებს;

გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და განკარგულებებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციებისადმი, დაამოწმებს მათს შესრულებას, ამტკიცებს განყოფილებათა დებულებას და მთავარ (უფროს) სპეციალისტთა და სხვა მუშაკთა თანამდებობრივ ფუნქციებს, კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ითხოვს სამუშაოდან მუშაკებს, იყენებს წახალისების ღონისძიებებს და ადებს სასჯელს.

ორგანიზაციის მთავარ ინჟინერს, მთავარ (უფროს) ბუღალტერს, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსსა და იურისკონსულტს სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ითხოვს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოსთან შეთანხმებით;

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნა ხდება პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით;

დაუდებს დადგენილი წესით პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს, როგორც ორგანიზაციის მუშაკთა წარმომადგენელს, კოლექტიურ ხელშეკრულებას, მოახსენებს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის სხდომებზე გეგმების პროექტების; გეგმების შესრულების შედეგების და კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, აგრეთვე გაანაწილებს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად საცხოვრებელ ფართობს;

უზრუნველყოფს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას;

მონაწილეობას იღებს მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემაში;

უზრუნველყოფს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესრულებას;

პერსონალურად აგებს პასუხს ანგარიშგების უტყუარობისა და დროულად წარდგენისათვის;

წყვეტს ორგანიზაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან შირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც ზემდგომი ორგანოების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

48. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზაციის მართვის უფლებასა და მოვალეობას შეიძენს იმ დღიდან, რაც მას მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება აირჩევს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ყველა ფულად დოკუმენტს ხელს აწერენ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, რომელთა ხელმოწერადაც ამ დოკუმენტებს ძალა არა აქვს.

49. სამშენებლო წარმოების საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის მუშაკთა ფართოდ ჩაბმის მიზნით საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციაში დადგენილი წესით მოქმედებენ საწარმოო თათბირები, იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ყოველი რეზინისიებით უნდა შეუწყოს ხელი საწარმოო თათბირების, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას.

VI. აღრიცხვა, ანგარიშგება და საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია

50. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაცია აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, ადგენს დამტკიცებული ფორმების მიხედვით ანგარიშგებას და წარუდგენს მას დაწესებულ ვადებში შესაბამის ორგანოებს.

51. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ატარებს ამ ორგანიზაციის სარევიზიო კომისია საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეო-მშენის“ წარმომადგენლებთან ერთად წელიწადში ერთხელ მაინც.

თავის მუშაობაში სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების წინაშე.

52. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის თანამდებობის პირებს წარუდგინონ მას საჭირო დოკუმენტები. რევიზიის შედეგების, დასკვნებისა და წინადადებების შესახებ სარევიზიო კომისია მოახსენებს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს, მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმო-



მადგენელთა კრებას და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნეშენს“.

აღნიშნული გაერთიანება განიხილავს რევიზიის შედეგებსა და დასკვნებს, წარუდგენს თავის რეკომენდაციებს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრებას რევიზიის შედეგების მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები რევიზიის დროს განთავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოსაგან და შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი რევიზიის ჩატარებისათვის ფაქტიურად დახარჯული დროის განმავლობაში.

53. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენი“ და სხვა ორგანოები განახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

VII. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა

54. საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა მოხდება მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნეშენი“ ამ საკითხის განხილვის შემდეგ.

საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას (ლიკვიდაციას) განახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც აირჩევს მონაწილე კოლმეურნეობების (მეურნეობების) რწმუნებულ წარმომადგენელთა კრება და დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სალიკვიდაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მიწვეულ იქნებიან გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“ წარმომადგენლები.

სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის შშენბანკის კრედიტების და საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის სხვა დავალიანების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება და ფულადი სახსრები განაწილდება მონაწილე კოლმეურნეობათა (მეურნეობათა) შორის მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

72 სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს ადგილობრივი კომიტეტთან საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების შექმნისა და ამ განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

რაიონული (საქალაქო) საბჭოების დებუტატებისა და მუდმივი კომისიებისათვის, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის დონისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისათვის სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად სახალხო დებუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების მუშაობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სახალხო დებუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილებანი.
2. დამტკიცდეს თანდართული დებულება სახალხო დებუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1978 წ. 6 თებერვალი, № 612.

დამაკიცხვულია

საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს
 1978 წლის 6 ოქტომბრის № 612 დადგენილებით

დეკლარაცია

სახალხო დემუკრატია რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების შესახებ

1. საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილება იქმნება სახალხო დემუკრატია რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან იმისათვის, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მუშაობას რაიონული (საქალაქო) საბჭოს დემუკრატებისა და მუდმივი კომისიებისათვის, ქაწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის დონისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისათვის სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

2. თავის საქმიანობაში განყოფილება ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. იურიდიული განყოფილების წინადადებანი და რეკომენდაციები ხორციელდება სახალხო დემუკრატია რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით.

იურიდიული განყოფილების წინადადებანი და რეკომენდაციები, რომლებიც სახალხო დემუკრატია სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების საქმიანობაში, აგრეთვე სახალხო დემუკრატია რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობაში კანონიერების ცალკეულ დარღვევათა აღმოფხვრას შეეხება, შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი აღმასკომის აქტებით და საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ.

4. საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილება მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის დავალებით ახორციელებს შემდეგ მუშაობას:

ა) კონსულტაციას უწყევს რაიონული (საქალაქო) საბჭოს დემუკრატებსა და მუდმივ კომისიებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს სამართლებრივ საკითხებზე;

ბ) შეისწავლის და განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის დაყენებასა და ეფექტიანობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, შეიმუშავებს მისი სრულყოფისათვის წინადადებებსა და რეკომენდაციებს,

რომლებსაც წარუდგენს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს მათი ღირსების მიხედვით;

გ) კოორდინაციას უწევს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას საბჭოთა სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისათვის, გეგმავს და წარმართავს ამ მუშაობას, ხელს უწყობს საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულ განყოფილებას ლექციურ პროპაგანდაში.

5. საზოგადოებრივ იურიდიულ განყოფილებას ქმნის რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი საზოგადოებრივ საწყისებზე სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, იურისკონსულტთა და სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა (შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, უწყებების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით), აგრეთვე პენსიონერ იურისტთა შემადგენლობით.

ამასთან რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი ამტკიცებს განყოფილების გამგეს, გამგის მოადგილესა და პასუხისმგებელ მდივანს. განყოფილების თანამშრომლები საზოგადოებრივი ინსტრუქტორები არიან.

თავისი მუშაობის განხორციელებაში მონაწილეობისათვის განყოფილებას შეუძლია მიიწვიოს ორგანიზაციათა და უწყებათა სხვა წარმომადგენლებიც.

6. განყოფილების გამგე:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების მუშაობას;

ბ) განსაზღვრავს განსახილველ საკითხებს განყოფილების თანამშრომელთა აზრის გათვალისწინებით;

გ) დავალებას აძლევს განყოფილების თანამშრომლებს;

დ) აცნობს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობას განყოფილების წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

ე) პასუხისმგებელია განყოფილების მუშაობისათვის.

7. განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი:

ა) უზრუნველყოფს განყოფილების მუშაობის ორგანიზაციას;

ბ) ამზადებს განყოფილების მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტაციას;

გ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების წინადადებათა და რეკომენდაციათა რეალიზაციისადმი.

8. საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების თანამშრომლები:

ა) კონსულტაციას უწევენ სამართლებრივ საკითხებზე;

ბ) სწავლობენ სამართლებრივი მუშაობისა და სამართლის პროპაგანდის დაყენებას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ანალიზებენ და განაზოგადებენ შესწავლის შედეგებს, ამზადებენ საინფორმაციო წერილებს, მიმოხილვების პროექტებს;

გ) აცნობენ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, უწყებათა ხელმძღვანელებს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს;

დ) მონაწილეობენ განყოფილების რეკომენდაციათა და წინადადებათა შემუშავებაში;

ე) ხელს უწყობენ რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მუშაობას და წინადადებათა განხორციელებას.

განყოფილების მუშაობაში მონაწილეობისათვის მიწვეული ყველა პირი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს განყოფილების მუშაობაში.

9. საზოგადოებრივ იურიდიულ განყოფილებას უფლება აქვს:

ა) გაეცნოს მასალებს, რომლებიც სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტების შედგენის, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა მიღების, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა და სამმართველოთა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა ბრძანებებისა და ინსტრუქციების გამოცემის საფუძველს წარმოადგენენ;

ბ) დაესწროს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სხდომებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ მოწვეულ თათბირებსაც;

გ) ჩააბას თავის მუშაობაში რაიონის (ქალაქის) იურიდიული საზოგადოებრიობა.

10. განყოფილებაში შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფი.

11. განყოფილება თავის მუშაობას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

12. რეკომენდაციათა და წინადადებათა შესამუშავებლად, აზრთა გასაზიარებლად საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილება იწვევს განყოფილების თათბირებს.

გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით, ამასთან კენჭისყრაში უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების თანამშრომელთა ნახევარი მაინც.

13. განყოფილება სისტემატურად წარუდგენს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ.

რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სხდომაზე შეიძლება მოსმენილ იქნეს ანგარიში საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების მუშაობის შესახებ.

14. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აძლევენ საზოგადოებრივ იურიდიულ განყოფილებას სამუშაო ადგილს და საჭირო ნორმატიულ აქტებს. განყოფილების ტექნიკური მომსახურება ეკისრება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებას.

15. ამ დებულების შესრულებას ახორციელებს და საზოგადოებრივი იურიდიული განყოფილების შემადგენლობაში ცვლილებანი შეაქვს რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

73 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახეობის
 ლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების ქონების სახელმწი-
 ფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო საბა-
 ნაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარი-
 ცების სახსრებიდან გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაჟინანა-
 ბის შესახებ

„კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შე-
 სახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 აგვისტოს № 814 დაღ-
 გენილებისა და „სტიქიური უბედურებებითა და სხვა არახელსაყრელი
 პირობებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელ-
 მწიფო საწარმოებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის სრულ-
 ყოფის შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა
 საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 499 და საქართველოს კვ ცენტრალური კომი-
 ტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 სექტემბრის
 № 597 დადგენილებების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
 ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს:

ა) ნუსხა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ცხოველებისა და სხვა
 ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებების დაფი-
 ნანსებისა, რომლებიც უნდა განხორციელდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-
 ურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების
 ქონების სახელმწიფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო
 საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახ-
 სრების ხარჯზე № 1 დანართის თანახმად;

ბ) ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახს-
 რების ხარჯვის წესი № 2 დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწი-
 ფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა
 ნუსხა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 თებერვლის № 80,
 1976 წლის 13 ივნისის № 387, 1976 წლის 26 ნოემბრის № 808, 1978 წლის 29
 მაისის № 348 დადგენილებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1977 წლის 21 მარტის № 226 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიკა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**



ნ უ ს ხ ბ

იმ ღონისძიებებისა, რომლებიც დაფინანსდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო სავანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრებით

1. სახანძრო ფარდულების, დეპოების, კომსურების მშენებლობა, გაწყობა და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე სახანძრო კავშირის განვითარება.

2. სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოების მშენებლობა და გაწყობა.

3. სოფელ ადგილებში სახანძრო წყალსატევების, საგუბრებისა და მათთან მისასვლელი გზების მოწყობა.

4. სახანძრო ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობის შექენა და რემონტი.

5. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსების, აგრეთვე ავტომობილების იმ მძღოლების (მოტორისტების) მომზადების სუბსიდირება, რომლებიც მომსახურებას უწევენ სახანძრო ტექნიკას, სასწავლო შეკრებებსა და კურსებზე გაგზავნილ პირთა სამგზავრო ხარჯებისა და დღიურების ჩათვლით, იმ წესით და ოდენობით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების მოწინავე სახანძრო რაზმების, სპეციალიზებული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, მილიციის შტატგარეშე მუშაკების, საავტომობილო ტრანსპორტისა და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის წევრებისა და საზოგადოებრივი ავტონისპექტორების დაჯილდოება, რომლებმაც საუკეთესო ნიმუშები უჩვენეს მოძრაობის წესების პრობაგანდაში, სახანძრო დაცვისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საქმეში, აგრეთვე ამ რაზმების წევრთა და სხვა პირთა დაჯილდოება ხანძრებთან და ავტოსატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლის დროს აქტიური მონაწილეობისათვის.

7. ერთდროული დახმარების მიცემა ოჯახისათვის იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო (საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობის) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის ან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაზმის წევრი გარდაიცვალა ხანძრის ქრობის დროს, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობის დროს, ხანძრის ჩასაქრობად წასვლისა და უკან დაბრუნების დროს, ან სასოფლო (საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობის) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის (გამს-

ელელი ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაზმის) წევრისათვის, თუ იგი ინვალიდი ვახდა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მუშაობის დროს.

8. ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა, აგრეთვე ავტო-მოტოტრანსპორტის მოქრობის უსაფრთხოების პროპაგანდა.

9. ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებებისა და ვეტერინარული ლაბორატორიების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი.

10. ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შექმნა ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებებისა და ვეტერინარული ლაბორატორიებისათვის.

11. ზოოვეტერინარული ქსელისათვის გამოყოფილი ავტო-სადეზინფექციო დანადგარების, სამგზავრო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ამბულატორიების შექმნა.

12. იმ მასალების ანაზღაურება, რომლებიც შემოაქვთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კანის ბუზანკლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების ანაზღაურება.

13. გასამრჯელოს გაცემა მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისა და მათი ცალკეული წევრებისათვის მტაცებელი ნადირის დახოცვის გამო, აგრეთვე ყველა მონადირისათვის, რომლებიც დამამზადებელ ორგანიზაციებს აბარებენ მგლის ტყავს.

14. პირუტყვის დაავადებების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა პროპაგანდა.

15. ვეტერინარული დაწესებულებებისათვის, რაიონული და საქალაქო სახანძრო ინსპექციებისათვის (რაზმებისა და ნაწილებისათვის) და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა (ავტომობილების, მოტოციკლების, ცხენებისა და ველოსიპედების) და სატრანსპორტო მოწყობილობის (საზიდრების, მარხილების, აღკაშმულობისა და სხვათა) შექმნა, სასაზღვრო ვეტსანიტარიული ღობეების აღდგენა.

16. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

17. მოყინვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (დაბოლება და სხვ.).

18. სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სასამსახურო შენობების მშენებლობა და კაპიტალური შეკეთება, აგრეთვე მათი სატრანსპორტო საშუალებების შექმნა და კაპიტალური შეკეთება, სათადარიგო ნაწილებისა და ელექტროგამომთვლელი მანქანების შექმნა.

19. სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის საგუშაგოებისათვის ახალი ტექნიკის შექმნა და დაყენება.

20. თურქულით დაავადებული და თურქულით დაავადების მხრივ საექვო ცხოველებისათვის, რომლებიც ისპობა მთავარი სახელმწიფო ვეტინსპექტორების მითითებით, სადაზღვევო ანაზღაურებასა და შესასყიდ ფასებში ცხოველთა ღირებულებას შორის არსებული განსხვავების გაცემა, ხოლო დაუზღვეველი ცხოველის მოსპობის შემთხვევაში — შესასყიდ ფასებში მისი ღირებულების გაცემა.

21. ციმბირის წყლულით დაავადებული და ამ დაავადების მხრივ საეკო ცხოველებისათვის, რომლებიც ისპობა რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ინსპექტორის, რაიონის ვეტერინარული სადგურის და ქალაქის ვეტერინარულ-სანიტარიული სადგურის ვეტერინარი ექიმის, უბნის ვეტერინარული სამკურნალოს და სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის გამგეების მოთხოვნით, აგრეთვე ამ დაავადებით დახოცილი ან იძულებით დაკლული ცხოველების (იმ პირობით თუ დადასტურებულია ციმბირული წყლულით დაავადების დიაგნოზი) სადაზღვევო ანაზღაურებასა და შესასყიდ ფასებში ცხოველთა ღირებულებებს შორის არსებული განსხვავების, ხოლო დაუზღვეველი ცხოველის მოსპობას, დახოცვის ან იძულებით დაკვლის შემთხვევებში — შესასყიდ ფასებში მისი ღირებულების გაცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

წ ე ს ი

**პირუტყვის დაავადებებთან და დახოცვასთან, აგრეთვე ხანძრებთან ბრძოლი-
სათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა და დაზიანების
თავიდან აცილებისათვის დაზღვევის გადასახდელებიდან გამოყოფილი
სახსრების ხარჯვის შესახებ**

1. „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის 1940 წლის 4 აპრილის კანონის, „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ 1967 წლის 12 ოქტომბერს მიღებული კანონისა და „სტიქიური უბედურებებითა და სხვა არახელსაყრელი პირობებით საბჭოთა მეურნეობებისათვის და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 499 დადგენილების თანახმად ხანძრებთან და პირუტყვის დახოცვასთან ბრძოლისა და მათი თავიდან აცილების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვის (დაზიანების) და ავტომოტორანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოიყოფა მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელებიდან 8 პროცენტი, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონების დაზღვევის გადასახდელებიდან — 4 პროცენტი.

2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრები შეიტანება რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტებში და გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ პირუტყვის დაღუპვასთან და ხანძრებთან ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების განადგურებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

3. პირუტყვის დაღუპვასთან და ხანძრებთან ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზარალისა და ავტოტრანსპორტის ავარიების თავიდან აცილებილ ღონისძიებების განსახორციელებლად გამოიყოფილი სახსრებით დაფინანსდება ამ დადგენილების № 1 დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებანი.

4. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრებიდან კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯების გაწევა ხდება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით დამტკიცებულ კაპიტალდაბანდებათა გადამეტებით.

5. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელებიდან ანარიცხების სახსრები გამოიყენება პირუტყვის დახოცვისა და ხანძრების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზარალისა და ავტომოტორანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებებზე.



პორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებებზე დაუბრუნებელი ხარჯების წესით.

6. სახსრებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შემკვთებელი სახელოსნოების მშენებლობისა და გაწყობისათვის გასცემს სსრ კავშირის მშენ-ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა გრძელვადიანი დაკრედიტების დადგენილი წესის შესაბამისად 7 წლის ვადით.

7. ხანძრებთან და პირუტყვის დახოცვასთან (დალუპვასთან) ბრძოლისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზარალისა და ავტომოტორანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეიძლე-ბა შეტანილ იქნეს როგორც ყველა, ისე ცალკეულ ნაგებობათა მშენებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია სახანძრო დეპოებისა და ვეტერინარული და-წესებულებების მშენებლობის მოქმედი ტიპური პროექტებით.

ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეიტანება მხოლოდ იმ მშენებლო-ბათა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მიწის ნაკვეთებით და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

8. გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახს-რებიდან შეიძლება გაწეულ იქნეს მშენებლობის ტიპური პროექტების მიზმის, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში მშენებლობის ინდივიდუალური პროექტების შედგენის ხარჯებიც.

9. სოფლის სახანძრო რაზმებისათვის, ქალაქების სახანძრო და ნებაყოფლო-ბითი სახანძრო საზოგადოებებისათვის სახანძრო ინვენტარისა და მოწყობილო-ბის, აგრეთვე ვეტერინარული დაწესებულებებისათვის ინსტრუმენტების, სატ-რანსპორტო საშუალებებისა და სატრანსპორტო მოწყობილობის სიებს (ხუსხებს) წინასწარ შეადგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამი-ნისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და წარუდგენენ საქარ-თველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს.

10. მომავალ წელს ჩასატარებელ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასა-ფინანსებელი სახსრების ოდენობას კვარტალური დაყოფით მთლიანად რესპუბ-ლიკაში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონების სახელმწიფო სავალდებულო და მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა გეგმების მიხედვით.

11. ყოველი წლის პირველ კვარტალში გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად სახსრების გადარიცხვისას წარმოებს ამ თანხების რესპუბ-ლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით დაზუსტება წინა წელს ფაქ-ტიურად შემოსული სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვე-ვის გადასახდელების კვალობაზე.

12. კალენდარული წლის დამლევისათვის ანარიცხების აუთვისებელი სახს-რები რჩება შესაბამისი რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების განსა-

კუთრებულ ანგარიშებზე და გამოიყენება მომავალ წელს იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც ვათვალისწინებელი იყო წინა წელს.

წინა წელს აუთვისებელი სახსრების მომდევნო წელს გამოყენება დაიშვება შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დადგენილებით.

13. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა და სატყეო მეურნეობის ორგანოები, დაინტერესებული სამმართველოებისა და უწყებების მონაწილეობით, შეადგენენ მოცემულ წელს გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელების გეგმას კვარტალური დაყოფით თითოეული დასაფინანსებელი ობიექტის მიხედვით და შესათანხმებლად წარუდგენენ შესაბამის საფინანსო ორგანოებს არაუგვიანეს ყოველი წლის 5 იანვრისა. დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების ხარჯზე განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს იმ ორგანოების მიერ, რომლებმაც დაამტკიცეს ეს გეგმები შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით.

14. დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრები ჩაირიცხება საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხები გადაირიცხება შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე, ადგილობრივ ბიუჯეტებში ან საქართველონ სს რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე იმ ვადებში, რასაც დააწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

15. დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხებიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახდაზღვევის სამმართველოები პირველი სამი კვარტალის კუთვნილ თანხებს გადაირიცხავენ იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებს წლიური გეგმა კვარტალური დაყოფით.

აღნიშნული სახსრების გადაირიცხვა IV კვარტალში ხდება მიმდინარე წელს დაზღვევის გადასახდელთა მოსალოდნელი შემოსავლის კვალობაზე პირველ 9 თვეში გადაირიცხული თანხების გათვალისწინებით.

16. სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს (სამმართველოების) მიერ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაზღვევის გადასახდელთა მოცემული წლის პირველი კვარტალის შესატანების გადაირიცხვისას წარმოებს გადაანგარიშება წინა წელს ფაქტიურად შემოსული გადასახდელების კვალობაზე.

17. კალენდარული წლის დამლევისათვის დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების აუთვისებელი თანხები ჩაირთვება შესაბამისი ბიუჯეტების აუთვისებელი ნაშთების საერთო თანხაში და გამოიყენება შემდგომ წელს ხანძრებისა და პირუტყვის დაზოცვის თავიდან აცილების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების განადგურებისა და დაზიანების გამაფრთხილებელ ღონისძიებებზე ამ მიზნისათვის დასაგეგმავი წლის სახსრების გადამეტებით.

დაზღვევის გადასახდელთა წინა წელს აუთვისებელი სახსრების დაადგენენ საფინანსო ორგანოები ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშებიდან, რომლებიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ღონისძიებებზე შემოსული ანარიცხების სახსრებსა (საანგარიშო წლის დასაწყისისათვის გადმოსული თანხების გათვალისწინებით) და გაწეულ ხარჯებს შორის.

18. დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრებიდან კაპიტალურ ღონისძიებებს დაფინანსებენ საფინანსო ორგანოები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა მეშვეობით.

19. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და მისი ადგილობრივი დაწესებულებების მეშვეობით დაფინანსდება:

სახანძრო ფარდულების, დეპოების, კომპუტერების, სოფელ ადგილებში სახანძრო წყალსატევების, საგულშაგოებისა და მათთან მისასვლელი გზების აშენება, აგრეთვე სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოების მოწყობა.

დანარჩენი ღონისძიებები, რომლებიც სახდაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების ხარჯზე ხორციელდება, დაფინანსდება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების მეშვეობით.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკური კანტორები დაფინანსებულ ობიექტებზე ახორციელებენ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის სისწორის კონტროლს.

ამ სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტების გამოვლენისას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებები ვალდებული არიან შეწყვიტონ მოცემული ღონისძიებების შემდგომი დაფინანსება არადანიშნულებისამებრ დახარჯული თანხების აღდგენამდე, რის შესახებაც აცნობებენ შესაბამის საფინანსო ორგანოს.

21. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ შეამოწმონ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენების სისწორე.

22. სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამება გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეტანილი ობიექტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში ჩამოთვლილ იმ ობიექტებს, რომლებზეც ეს ღონისძიებები ხორციელდება სახდაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების ხარჯზე.

23. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მათი შესაბამისი ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმონ გამაფრთხილებელ ღონისძიებებზე გამოყოფილი

სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენების სისწორე და შედეგების მიხედვით მიიღონ შესაბამისი ზომები.

24. ანგარიშს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების შესახებ, რომლებიც დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების ხარჯზე ხორციელდება, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის რესპუბლიკური კანტორები წარუდგენენ შესაბამის საფინანსო ორგანოებს ყოველთვიურად იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ.

25. დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების კრედიტის განმკარგულებლები საფინანსო ორგანოებს წარუდგენენ პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

74 სახელმწიფო დროშის აღმართვის მოწესრიგების შესახებ

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 25 აპრილის ბრძანებულებისა და „რესპუბლიკაში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების დებულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 25 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების გამოყენების შესახებ.

2. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების გამოყენების ინსტრუქციის განუხრელი დაცვა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 6 დეკემბრის № 585 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1978 წ. 12 ოქტომბერი, № 625.

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1978 წლის 12 ოქტომბრის № 625 დად-
 გენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების გამოყენების შესახებ

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების თანახმად აღიმართება, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დებულებაში მოცემულ აღწერილობას.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების მე-4 მუხლში ჩამოთვლილ შენობებზე, 25 თებერვლის, 8 მარტის, 22 აპრილის, 1, 2 და 9 მაისის, 7 ოქტომბრის, 7 და 8 ნოემბრის გარდა, დღესასწაულებისა და საზეიმო ვითარების დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასკომების მითითებით ან ნებართვით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღიმართება შენობებზე მთავარ შესასვლელთან ან სხვა საამისოდ შესაფერის ადგილას დროშის საჭერზე ან ფლაგშტოკზე.

აღმართული სახელმწიფო დროშის ქსოვილი მიწიდან არანაკლებ 3 მეტრ სიმაღლეზე უნდა იყოს.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა, თუ არ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განსაკუთრებული განკარგულებანი, აღიმართება 7 საათზე და დაეშვება 24 საათის შემდეგ ან დღესასწაულის, ზეიმის ანდა სამგლოვიარო ცერემონიის დამთავრების შემდეგ.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა სამგლოვიარო მდგომარეობის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით ან ნებართვით შეიძლება აღიმართოს სამგლოვიარო გაფორმებით.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო დროშას მიეზნევა 10 სანტიმეტრი სიგანის შავი ლენტის, რომლის ორივე ბოლო ჩამოიკიდება დროშის მთელ ქსოვილზე.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშასთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის აღმართვისას სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა მოთავსებული უნდა იყოს მარჯვენა მხარეს, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა მარცხენა მხარეს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშასთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის ერთ ფლაგშტოკზე აღმართვისას სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშაზე მაღლა უნდა იყოს.

7. თუ სსრ კავშირის სახელმწიფო დროშასთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშასთან ერთად უნდა აღიმართოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან სხვა ქვეყნების სახელმწიფო დროშები, ისინი უნდა მოთავსდეს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

მხარეები განისაზღვრება შენობის ფასადისაკენ ზურგშექცევით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა არ აღიმართება კაპიტალურად გასარემონტებელ, ავარიულ მდგომარეობაში არსებულ შენობებზე ან იმ შენობებზე, რომელთა ფასადს რემონტი უკეთდება.

9. პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების მოთხოვნებისა და ამ ინსტრუქციის თანახმად საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შენობებზე საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის აღმართვისათვის ეკისრებათ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ხოლო საცხოვრებელ სახლებზე აღმართვისათვის — სახლმმართველებს და პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის მფლობელ მოქალაქეებს.

10. მეთვალყურეობას საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულებისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის ზუსტი შესრულებისადმი ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

75 სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების მუშაობის პრაქტიკისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები გარკვეულ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა მეურნეობების იურიდიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

1.175 კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან და სახელმწიფო მეურნეობიდან იურიდიული მომსახურება ხორციელდება 1.112-ში, სადაც დასაქმებულია 277 იურისკონსულტი, რომელთაგან 191 მუშაობს სამეურნეობათაშორისო იურიდიულ ჯგუფებში. მარტო 1977 წელს იურიდიული მომსახურების მუშაებმა მონაწილეობა მიიღეს 4.468 ხელშეკრულების მომზადებაში, ჩატარეს კოლმეურნეობის წესდების დაცვის 3.591 შემოწმება, რის შედეგადაც გამოავლინეს 1.508 დარღვევა. მათი მონაწილეობით გადახდევინებულია 10 მილიონ მანეთზე მეტი დებიტორული დავალიანება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდათ 106 ჰექტარი თვითნებურად დაკავებული მიწა და ა. შ.

სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების ძალეობით მნიშვნელოვანი მუშაობა ხორციელდება სოფლად იურიდიული ცოდნის გავრცელების მხრივაც. 1977 წელს წაითხულია 3 ათასზე მეტი ლექცია, გაწეულია 10 ათასზე მეტი იურიდიული კონსულტაცია.

ამასთანავე, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის (1978 წ.) მოთხოვნებს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამ ჯგუფების მუშაობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ არის სათანადოდ მიზანდასახული და თანმიმდევრული; მთელ რიგ შემთხვევებში სამეურნეობათაშორისო იურიდიულ ჯგუფებში სამუშაოდ აწყობენ ისეთ პირებს, რომლებმაც თავი ვერ გამოიჩინეს წინანდელ თანამდებობაზე ან განთავისუფლებული არიან სხვადასხვა დარღვევისათვის; ზოგიერთ რაიონში იურისკონსულტებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, მათ ძირითადად სხვადასხვა საჩივრისა და განცხადების შემოწმებით ტვირთავენ. სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები ხშირად გავლენას ვერ ახდენენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში არსებულ მდგომარეობაზე, რის შედეგადაც გაფლანგვა-დატაცების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების რაოდენობა არათუ არ მცირდება, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად მატულობს.

იურიდიული სამსახურების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში არ ახორციელებენ საკმარის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სოციალისტური ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად და წამატებების, დანაკლისისა და დატაცებების თავიდან ასაცილებლად. 1977 წელს გამოვლინდა 533 ათასი მანეთის გაფლანგვა-დატაცების 570 შემთხვევა. 1976 წელთან შედარებით ასეთი შემთხვევების რაოდენობა 269-ით, ხოლო ზარალის თანხა 88 ათასი მანეთით გაიზარდა. დანაკლისისა და დატაცების შედეგად წარმოქმნილმა დავალიანებამ 1978 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 1.297 ათასი მანეთი, ნაცვლად წინა წლის დამდევის 1.022 ათასი მანეთისა.

სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები სრულიად მოუშაადებელი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ შეესრულებინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის № 163 დადგენილება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემის დანერგვის ნაწილში, ვერ შეძლეს დაემყარებინათ უფრო მჭიდრო კონტაქტი, ერთი მხრივ, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებებს შორის. ამის შედეგად მთელ რივ რაიონებში დაშვებულ იქნა სოფლის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქტების შესყიდვის ახალი წესის უხეში დარღვევები, მომხმარებელთათვის პროდუქციის მიწოდების ძირითადი პირობების დაუცველობის, დაბალხარისხოვანი პროდუქციის გაგზავნის, დიდი ხნის განმავლობაში ჩამბარებელთათვის პროდუქტების ღირებულების აუნაზღაურებლობის, მყიდველი ორგანიზაციებისაგან მიღებული პრეტენზიების თვითნებურად ჩამოწერის, არბიტრაჟის ორგანოებში მათი გაპროტესტების ვადების დარღვევის შემთხვევები და ა. შ. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში ძალზე მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. 1978 წლის 1 ნოემბრისათვის წინა წელთან შედარებით კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დებიტორული დავალიანება 3-ჯერ და მეტად გაიზარდა და 77,6 მილიონი მანეთი შეადგინა; მნიშვნელოვნად გადიდდა საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების დებიტორული დავალიანება.

გაგზავნილი პროდუქციის ღირებულების დაგვიანებით ანაზღაურების გამო ბევრი მეურნეობა ფაქტიურად გადახდისუუნარო გახდა. 1978 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს ჰქონდათ 196 მილიონი მანეთი კრედიტორული დავალიანება, ბანკის კრედიტების ჩაუთვლელად, რომლიდანაც 70 მილიონ მანეთზე მეტი შრომის ანაზღაურებაზე მოდის. საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში წარმოიშვა 55 მილიონი მანეთი კრედიტორული დავალიანება, საბრუნავი სახსრების დანაკლისმა შეადგინა 39 მილიონი მანეთი და ა. შ.

უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის მიუხედავად, ვერ კიდევ სერიოზული დარღვევებია მიწათსარგებლობის საქმეში. სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს არ განუხორციელებიათ 1.000 ჰექტარზე მეტი

მიწის რეკულტივაცია. კასპის, თეთრი წყაროს, გალის, გორის, წულუკიძისა და სხვა რაიონებში არის მოსახლეობის მიერ საზოგადოებრივი მიწების თვითნებურად მიტაცების ფაქტები.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში საერთო ზედამხედველობის წესით ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების უხეში დარღვევები. თელავის, ქარელის, ახალქალაქის, ქობულეთისა და სხვა რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობები აკარბებენ მათთვის წესდებით მინიჭებულ უფლებებს და წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების საქმიანობაში აღნიშნული ნაკლოვანებანი სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფებისა და შესაბამისი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების არასაკმარისი მუშაობის შედეგია. ეს მარნეულისა და ლანჩხუთის რაიონების იურიდიული ჯგუფების მუშაობის ამასწინანდელმა შემოწმებამაც დაადასტურა.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის დანაკლისითა და გაფუჭებით გამოწვეული ზარალის თანხამ შეადგინა 270 ათასი მანეთი, რომლის გადასახდევინებლად არავითარი ზომები არ მიუღიათ; ბუღალტრებმა არ გადასცეს მასალები იურიდიულ ჯგუფს შესაბამისი რეაგირებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელმა არ გამოიჩინა ჯეროვანი ინიციატივა ზარალის თანხის გადასახდევინებლად.

მარნეულის რაიონის წერეთლის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბუღალტრიაში ყოველგვარი რეაგირების გარეშე იღო საპრეტენზიო მასალები 53 ათას მანეთზე.

ლანჩხუთის რაიონის მარტო კოლმეურნეობებში 1978 წლის 1 ივლისისათვის დებიტორული დავალიანება 1977 წლის 1 იანვართან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 808 ათასი მანეთი, მაგრამ იურიდიულ სამსახურს არ მიუღია საჭირო ზომები ამ დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მათ საკმარის ხელშეწყობას არ უწევენ რაიონმასკომები და სოფლის მეურნეობის სამმართველოები, რომლებიც სრულად არ იყენებენ იურისტთა კვალიფიციურ კადრებს ყველა კოლმეურნეობის, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის საქმიანობაში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მუშაობა, რომელსაც სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები ეწევიან სოფლის მეურნეობის იურიდიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ჩაითვალოს არასაკმარისად, ვინაიდან იგი არ შეესაბამება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის (1978 წ.) მაღალ მოთხოვნებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.



2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— 1978 წლის ბოლომდე შეისწავლონ ყველა რაიონში იურიდიული ჯგუფების მუშაობა, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას;

— ფართოდ ჩააბან სოფლის მეურნეობის სამმართველოთა და საწარმოო გაერთიანებათა იურიდიული ჯგუფების მუშაეები სახელმწიფო, საგვეგმო-საფინანსო, საგადამხდელო-საანგარიშსწორებო და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებაში;

— არ დაუშვან მომავალში ისეთ დავალებათა შესასრულებლად იურიდიული ჯგუფების მუშაეების გამოყენების ფაქტები, რომლებიც დაკავშირებული არ არის და არ გამომდინარეობს მათი პირდაპირი მოვალეობებიდან, რაც განსაზღვრულია რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოებთან შექმნილი სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების დებულებით.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1978 წლის ბოლომდე განიხილეს იურისკონსულტთა შრომის პირობების გაუმჯობესების (ტრანსპორტით, ინვენტარით უზრუნველყოფა და სხვ.), აგრეთვე მათ მომსახურებაში მყოფი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საბრემიო ფონდებიდან მათი პრემირების საკითხები და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ საკითხების გადასაჭრელად. საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვს, წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ:

— 1979 წლის ბოლომდე ჩაატარონ რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა და საწარმოო გაერთიანებათა იურიდიული სამსახურის მუშაეთა ატესტაცია და უზრუნველყონ იურიდიული ჯგუფების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით;

— უზრუნველყონ იურიდიული ჯგუფები იურიდიული ლიტერატურითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით.

5. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებმა:

— გააუმჯობესონ საერთო ზედამხედველობა და კონტროლი იურიდიული ჯგუფების მუშაობისადმი, ამ ჯგუფების უფროსებთან ერთად მოახდინონ მათი საქმიანობის კოორდინაცია. მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა მეურნეობების ბუ-

ლატრებმა დროულად განახორციელონ დებიტორული დავალიანებისა და პრეტენზიო თანხების შეჭრება და რეგულარულად გადასცენ შეჭრების მასალები იურისკონსულტებს;

— სისტემატურად მოისმინონ იურიდიული ჯგუფების უფროსთა ინფორმაცია ამ ჯგუფების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება გამოვლენილ ნაკლოვანებებზე;

— იურიდიული ჯგუფების მუშაობა წარმართონ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისისა და გაფუჭების წინააღმდეგ ბრძოლაში, ანაზღაურონ მეურნეობებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, შეისწავლონ სამართალდარღვევათა წარმოშობის მიზეზები და პირობები. მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის;

— გაააქტიურონ იურიდიული სამსახურის მუშაობა იმ მხრივ, რომ დროულად და სწორად გააფორმონ და შეასრულონ საკონტრაქტაციო და სხვა სამეურნეო ხელშეკრულებანი, გამოიყენონ კანონითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციები კონტრაგენტთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საპრეტენზიო საქმეთა ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფას დაწესებულ ვადებში.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის (1978 წ.) გადაწყვეტილებათა შესაბამისად განახორციელონ გეგმაზომიერი მუშაობა იურიდიული ჯგუფების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, წარმართონ იგი მეურნეობების ეკონომიკის განსამტკიცებლად და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად.

7. დაევალოთ მარნეულისა და ლანჩხუთის რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომებს განიხილონ იურიდიული ჯგუფების მუშაობის შემოწმების მასალები და მიიღონ შესაბამისი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. გაწეული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 დეკემბრისათვის.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ 1979 წლის მეოთხე კვარტალში შეისწავ-



ლონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა ორ-სამ რაიონში და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 ოქტომბერი, № 629.

76 სსრ კავშირისა და საბარტველოს სსრ სახელმწიფო დროშების წარმოების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 25 აგვისტოს № 1197-IX დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების გამოშვებისას დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის, მათი წარმოების კონცენტრაციის, აგრეთვე დროშებით რესპუბლიკის ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მომარაგების საქმის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების წარმოება თავმოყრილ იქნეს საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დროშების წარმოება — საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის საწარმოო კომბინატში.

ამასთან დადგინდეს, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო უზრუნველყოფს აღნიშნულ დროშებზე საქალაქო და ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო საქართველოს თეატრალური საზოგადოება საქართველოს სახელმწიფო დროშების წარმოების გარდა შეასრულებს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთდროულ დაკვეთებს სსრ კავშირისა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო დროშების წარმოებაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლისა და შემდგომი წლების მაჩვენებელთა შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში ზემოაღნიშნული დროშების გამოშვება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მოთხოვნათა შესაბამისად.

3. ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული სახელმწიფო დროშების წარმოების რენტაბელობის უზრუნველსაყოფად დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოყოფილი ქსოვილის ფონდების შესაბამისად მწარმოებლებს მიაწოდოს სათანადო ხარისხისა და ზომის ქსოვილი მათ მიერ წარდგენილი სპეციფიკაციის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **წ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუწარია.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 25 ოქტომბერი, № 641.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1978 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბუქლად 3/79 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆
საბუქლი თაბახი 5,5 სააღრიცხვო თაბახი 5,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

12/18/91

